# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 19 იანვარი. 2024 წ. №7 (9687) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




# პარტიზანი პარაზიტი თავზე აცოცდა!

**ასისინებულ გველს თავი თუ არ გაუჩეჩქვე, დაგგესლავს და ვერ გადარჩები. სოფლად გოგირდს მოწვავდნენ ხოლმე, ეზოს შემოჩვეული უხსენებელი რომ განერიდებინათ, თუ ესეც არ უშველიდა... თავს უჭეჭყავდნენ.**

ასეა, ვანდალ-მკრეხელი, მოხალისე-პარტიზანის, ამძუნვებული დედაკაცის ნატა ფერაძის შემთხვევაშიც... რაც თავის ძველ საქმიანობას თავი მიანება, თუ მიანებებინეს (ქართველ საზოგადოებას კარგად ახსოვს მისი რეპლიკა კითხვაზე — აქამდე რას აკეთებდიო?), რამეში ხომ უნდა დაეხარჯა მოზღვავებული ენერგია და გველკუასავით გესლის ნთხევა. გაუვიდა ერთხელ და გაიჯეჯილა, გაუვიდა მეორედ და მოუმატა გესლის ნთხევას, როცა ეგონათ, დაოკდა დედაკაციო და უდიდესი მკრეხელობა ჩაიდინა — სამების საკათედრო ტაძარში დავანებულ წმინდა მატრონას ხატს პარტიზანულად მიეპარა და საღებავი შეასხა. გამძვინვარებულ თანამოქალაქეებს ერთხანს სახლში ჩაეკეტა. დაელოდა, რისხვა და ზიზღი როდის გადაუვათო, დავისჯები თუ არაო და... გესლის ნთხევას მოუმატა.

ა, ბატონო, თავი რომ არ გაუჩეჩქვეს, ანუ რომ არ დასაჯეს, ამოისისინა:

**„ვერ ვიტყოდი, რომ ეს არის მთავარი ტაძარი, რადგან ის აშენებულია აბსოლუტურად კორუმპირებულად, აბსოლუტურად არ არის გათვალისწინებული თბილისის განაშენიანება, ის დომინირებს ისტორიულ თბილისზე. ეს არის კორუფციის მთავარი ტაძარი საქართველოში, ასე ვიტყოდი. როდესაც ახალ სახლს ვყიდულობდი, ჩემი კრიტერიუმი იყო, რომ ჩემი ფანჯრიდან ის არ უნდა ჩანდეს, რადგან ის მე შეურაცხმყოფს“.**

ხედავთ... ფანჯრიდან არ უნდა ჩანდეს, რადგან ის მე შეურაცხმყოფსო... იქნებ ციხის გისოსებიდან არ მოჩანს სამების ტაძარი... შეუშვით დროზე, სანამ ვინმეს გაუგლეჯია ეს კახპა პარტიზანი, იქნებ იქ მაინც დაოკდეს...

# 20 იანვარი აზერბაიჯანელი ხალხის გლოვისა და ღირსების დღე





იხ. 8 გვ.


# არც ერთი ნაცი - პარლამენტში! ③

**ადეიშვილს წაღებული აქვს „ნაცმოძრაობის“ ელიტის პირადი კომპრომატები და ამიტომ ვერ სცილდებიან ისინი ქართულ პოლიტიკას და ვერ იხსნიან ბორკილებს...**

## თეიმურაზ ქორიძე: ურჩხულების შემოსევა

**ნატა ფერაძის „პატრიოტიზმი“ და ნეტარი მატრონას ხატი მხოლოდ სატყუარაა გონებაჩლუნგებისთვის. ღიადი მიზანი რეალური ავტორიტეტების განადგურება და მათ ადგილას მიშა სააკაშვილის, მამუკა ხაზარაძის ან, სულაც, ლევან ხაბეიშვილის აღზევებაა!**








იხ. 6 გვ.


# რატომ აქვს აფხაზურ კამბალას თვალები შუბლზე?!




იხ. 5 გვ.




# დიმიტრი ხუნდაძე: დღეს უკრაინაში ხალხს სასაკლაოზე გასაგზავნად დასდევენ!

**ნამდვილად გვტკივა უკრაინელი ხალხის ტკივილი და გული გვწყდება, რომ ასეთი მფარველი მათ არ გამოუჩნდათ. დღეს უკრაინაში ხალხს ქუჩაში სასაკლაოზე გასაგზავნად დასდევენ,** — ამის შესახებ სოციალურ ქსელში „ხალხის ძალის“ ერთ-ერთი **ლიდერი დიმიტრი ხუნდაძე** წერს.

**„მიუხედავად რიგი ევროპარლამენტარების აგრესიული განცხადებებისა, ივანიშვილი ქველმოქმედებას აგრძელებს. პრაქტიკულად დაყადაღებული მისი ორი მილიარდი ქართველთა სიცოცხლის შენარჩუნებას ემსახურება. ეს ივანიშვილისეული ქველმოქმედების ფორმაა, რომელიც დღევანდელ არეულ მსოფლიოში მშვიდობის საფასურია და რომლის მსგავსი სხვა არ მახსენდება. ის მხოლოდ შინდლერის სიას შეიძლება შევადაროთ. ნამდვილად გვტკივა უკრაინელი ხალხის ტკივილი და გული გვწყდება, რომ ასეთი მფარველი მათ არ გამოუჩნდათ. დღეს უკრაინაში ხალხს ქუჩაში სასაკლაოზე გასაგზავნად დასდევენ.**

**2024 წელს მთელ მსოფლიოში სიცოცხლის ფასი კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან სიკვდილი მეტად გაიაფდა. ჩვენს ქვეყანას გონიერება დააზღვევს და არა ვიწრო პარტიული ინტერესები, რასაც დესტრუქციული ოპოზიცია აკეთებს.**

**არც საზოგადოებას აქვს პოლიტიკური კეკლუცობის დრო. უკრაინის მაგალითმა ბევრი რამ დაგვანახა. უკრაინა დღეს მსოფლიო ეგოიზმს ეწირება. გავა დრო და მომავალი თაობა, უკრაინის ომის შედეგების ფონზე, კიდევ უფრო მეტად დააფასებს ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებას, რომელმაც მათ სამშობლო შეუნარჩუნა“,** — წერს ხუნდაძე.

# სიახლეები დავოსიდან




## „ვაშენებთ ხვალინდელ ევროპას“

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ ვახშამს, სახელწოდებით „ვაშენებთ ხვალინდელ ევროპას“.**

მთავრობის მეთაურმა სიტყვით მიმართა მიწვეულ სტუმრებს. ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობასა და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე ისაუბრა.

მიწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს ასევე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის პრეზიდენტმა, ბრენდე ბორგემ, ბელგიის სამეფოს პრემიერ-მინისტრმა, ალექსანდერ დე კროომ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველმა დირექტორმა, კრისტალინა გეორგიევამ, ხორვატიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა, ანდრეი პლენკოვიჩმა, ევროკომისიის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა და ვაჭრობის ევროკომისარმა, ვალდის დომბროვსკიმ, კანადის ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა კრისტია ფრილენდმა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რადოსლავ სიკორსკიმ.

## „დიალოგი დიპლომატიაზე დასავლეთ ბალკანეთში“

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მონაწილეობა მიიღო დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ დიალოგში, სახელწოდებით „დიალოგი დიპლომატიაზე დასავლეთ ბალკანეთში“.**

მთავრობის მეთაურმა სიტყვით მიმართა დიალოგის მონაწილეებს. დიალოგის მონაწილეებმა ევროკავშირში დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების დაჩქარებული ინტეგრაციის პროცესზე იმსჯელეს.

ლიდერებმა ხაზი გაუსვეს ევროკავშირის გაფართოებისა და ამ პროცესში გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას და აღნიშნეს, რომ ახალი ქვეყნების გაწევრიანება ევროკავშირს კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად დიალოგში მონაწილეობდნენ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის პრეზიდენტი ბრენდე ბორგე, ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი, სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ალექსანდერ ვუჩიჩი, ჩრდილოეთ მაკედონიის პრეზიდენტი სტევო პენდაროვსკი, კოსოვოს პრემიერ-მინისტრი ალბინ კურტი, ხორვატიის პრემიერ-მინისტრი ანდრეი პლენკოვიჩი, მოლდოვის პრემიერ-მინისტრი დორინ რეჩანი, მონტენეგროს პრემიერ-მინისტრი მილოჟკო სპაჟიკი, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულება, ავსტრიის რესპუბლიკის ევროპული და საერთაშორისო საქმეთა ფედერალური მინისტრი ალექსანდრ შალენბერგი, შვეიცარიის კონფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი იგნასიო კასისი, სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრი ტანია ფაჯონი, ბოსნია და ჰერცოგოვინის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბორიანა კრიშტო და ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი ესპენ ბარტ ეიდე. პანელური დისკუსიის მოდერატორი იყო მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელი დირექტორი მირეკ დუშეკი.




## საქართველოს აზერბაიჯანთან და სომხეთთან მჭიდრო პარტნიორობა აქვს!

**მეზობელ ქვეყნებთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან საქართველოს ძალიან მჭიდრო ურთიერთობები და პარტნიორობა აქვს, ისინი არიან ჩვენი ძმები და მეგობრები,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ ერთ-ერთ პანელზე განაცხადა.

მისივე თქმით, სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერების პოზიციაა, რომ სურთ ორმხრივ დონეზე ურთიერთობა, რაც, ღარიბაშვილის განცხადებით, სწორი გზაა.

**„მე მქონდა ორი წლის წინ მედიაციის, ფასილიტაციის მცდელობა. ჩვენ გვქონდა წარმატებული პირველი მედიაცია, როდესაც აზერბაიჯანმა გაათავისუფლა 15 დაკავებული და სომხეთმა გადასცა აზერბაიჯანს დანაღმული ტერიტორიების რუკები. ეს იყო წარმატებული მცდელობა. მაგრამ ეს არის ძალიან რთული სიტუაცია. ჩვენ გვესმის, რომ ამ რეგიონში ბევრი მოთამაშეა. დავამატებდი, მე ვიცი, აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერების პოზიციაა, რომ მათ სურთ ერთმანეთთან ურთიერთობა ორმხრივ დონეზე. პირადად მე ვფიქრობ, ეს არის სწორი გზა, რადგან ამდენი მედიატორით, ამდენი დაინტერესებული მხარით პროცესი ზოგჯერ უფრო კონფლიქტური და კონტრპროდუქტიული ხდება. შესაბამისად, მე მათ წარმატებას ვუსურვებ. დიდი იმედი მაქვს, ისინი გამოსავალს იპოვიან და მალე მოაწერენ ხელს სამშვიდობო შეთანხმებას“,** – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## რუსეთი განაგრძობს ჩვენი ტერიტორიის ოკუპაციას!

**2008 წელს ჩვენ გვქონდა ომი, ამის შემდეგ რუსეთმა ააშენა სამხედრო ბაზები და კვლავ განაგრძობს ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციას, თუმცა, უსაფრთხოების ამ გამოწვევების მიუხედავად, ჩვენ შევძელით, მიგვეღწია მშვიდობისა და სტაბილურობის უპრეცედენტო და უწყვეტი ათწლედისთვის, რომელმაც საქართველოს მოუტანა კეთილდღეობა და ეკონომიკური ზრდა,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ ერთ-ერთ პანელზე განაცხადა.

**„რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების მდგომარეობას, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, თქვენ გახსოვთ ჩვენი სუვერენული ტერიტორიების ოკუპაცია. რუსეთს ჯერ კიდევ ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი და გუშინ გვქონდა ამაზე დისკუსია. 2008 წელს ჩვენ გვქონდა ომი, ამის შემდეგ რუსეთმა ააშენა სამხედრო ბაზები და კვლავ განაგრძობს ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციას. თუმცა, უსაფრთხოების ამ გამოწვევების მიუხედავად, ჩვენ შევძელით, მიგვეღწია მშვიდობისა და სტაბილურობის უპრეცედენტო და უწყვეტი ათწლედისთვის, რომელმაც საქართველოს მოუტანა კეთილდღეობა და ეკონომიკური ზრდა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენ არასდროს გვქონია საქართველოში ასეთი მშვიდობიანი და სტაბილური სიტუაცია, როგორიც ახლაა“,** – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# დამცავი ფარი

## აშშ-ის დახმარება ჯანდაცვაში დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დღემდე




**მსოფლიოში პირველი C ჰეპატიტის ელიმინაციის პროექტის დაწყება:** 2015 წელს დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა CDC-სთან და Gilead-თან თანამშრომლობის ფარგლებში დაიწყო პროგრამა, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოში 2,3 მილიონზე მეტი სკრინინგ-ტესტის ჩატარებასა და 80 000-ზე მეტი ადამიანის მკურნალობაში ჩართვას. დღეისათვის 98%-ზე მეტი პაციენტი, რომელმაც მკურნალობა დაასრულა, განიკურნა სიცოცხლისთვის საშიში ამ სენისგან. 2022 წელს NCDC დასახელდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ვირუსული ჰეპატიტის ელიმინაციის თანამშრომლობის ცენტრად, რაც ნიშნავს, რომ NCDC ხელს შეუწყობს ჰეპატიტის ელიმინაციის ეროვნულ გეგმებს, მათ შორის ტესტირების სტრატეგიებსა და დიაგნოსტიკურ ლაბორატორიულ შესაძლებლობებს რეგიონში. CDC აგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას და ამჟამად ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს მსგავსი პროგრამების განხორციელებას რეგიონში. სულ ახლახან NCDC მასპინძლობდა სასწავლო ტურებს აზერბაიჯანიდან, მოლდოვიდან და თურქმენეთიდან. 2022 წლის დასაწყისში CDC-მ დააფინანსა NCDC-ს ექსპერტები, რათა ემუშავათ უზბეკეთში C ჰეპატიტის ელიმინაციაზე.

**საქართველოში პანდემიისთვის მზადყოფნის შესაძლებლობები გაძლიერდა:** C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა დაეხმარა საქართველოს, პანდემიის საწყის ეტაპზევე ჩაეტარებინა დიდი რაოდენობის ტესტირება COVID-19-ზე და აღმოეჩინა COVID-19-ის ვარიანტები მცირე დამატებითი საერთაშორისო დახმარებით. COVID-19-ის პანდემიის დროს საქართველომ დააწესა მოთხოვნები საეჭვო შემთხვევების აღრიცხვისა და ტესტირების შესახებ. ვინაიდან ლაბორატორიული ქსელის უმეტესი ნაწილი კერძო იყო, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ტესტირების სიზუსტის უზრუნველყოფა. CDC-ს მხარდაჭერით საქართველომ დააფუძნა ასევე PCR ტესტირების ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის სისტემა C ჰეპატიტის ვირუსისთვის. ეს იყო CDC-ს წვლილის ნაწილი C ჰეპატიტის ელიმინაციის პროექტში, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით კერძო ლაბორატორიებში განხორციელდა. NCDC-მ მოახდინა ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით ჰეპატიტის კონტროლის ხარისხის ადაპტირება COVID-19-ის ტესტირებისათვის, რამაც შესაძლებელი გახადა უფრო მეტი რაოდენობით ზუსტი ტესტირების ჩატარება სხვა ქვეყნებთან შედარებით პანდემიის განმავლობაში. შედეგების ანგარიშგების პროცესი გამჭვირვალე იყო და სრულად ხელმისაწვდომი ჯანმო-სა და ქართველი საზოგადოებისთვის.

იხ. 9 გვ.



# არც ერთი ნაცი – პარლამენტში!

**მთელი ამ წლების განმავლობაში „ნაციონალებისგან“ გაწამებული ადამიანები ელოდნენ, როდის მიუჩენდა ისტორია „ნაცებს“ ადგილს პოლიტიკურ სანაგვეზე და ყველაზე უტყუარი მსაჯული – დრო როგორ განაჩენს გამოუტანდა ჯალათთა პარტიას. დღემდე, „ნაცები“ ხან იშლებიან, ხან ერთდებიან, ხან სულს ღაფავენ, ხან ერთმანეთს ემტერებიან და ურთიერთს ჭამენ, ამის მიუხედავად, მაინც ყოფნით გამბედაობა, ყოველ არჩევნებზე საკუთარი თავი შესთავაზონ ამომრჩეველს წარსულის გადაფასებისა და მონანიების გარეშე.**

რა მოხდება 2024 წელს, „ნაცები“ კვლავ შეეცდებიან ხელისუფლებაში დაბრუნებას, თუ მიხვდებიან, რომ წლების განმავლობაში წარუმატებელი იყო მათი ბრძოლა ძალაუფლების მოსაპოვებლად და დაკავდებიან სხვა საქმით, თუნდაც მემუარების წერით, რადგან პოლიტიკა მათი საქმე არ არის?!

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი **პეტრე მამრაძე** ინტერესდება, სად არიან ყველაზე ცნობადი ადამიანები, თუნდაც ბოკერია და სხვები? მათი დიდი ნაწილი რატომ არ ჩანს, ან იშვიათად ჩნდება? ფაქტია, ყველა მათგანი მდიდარია, პრაქტიკულად, ყველა მათგანი მილიონერია, თანაც, ახლაც ძალიან მაღალი შემოსავალი აქვთ, მხოლოდ სააკაშვილის დროს კი არ დააგროვეს ფული და მაშინდელ დაგროვილს კი არ ხარჯავენ, არამედ ბიზნესი და წილები დღესაც მშვენივრად აქვთ.

პეტრე მამრაძე ამბობს, რომ ბევრი „ნაცი“ წავიდა აქტიური პოლიტიკიდან, თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები დარჩნენ პოლიტიკაში, ხან **პეტრე ცისკარიშვილს** დავინახავთ, ხან **გია ბარამიძეს**. თუ რატომ ვერ ელევიან ხელმოცარული „ნაცები“ ქართულ პოლიტიკას, ამის შესახებ პეტრე მამრაძეს თავისებური მოსაზრება აქვს. ის იხსენებს, რომ ადეიშვილს პირადად წაღებული აქვს ამ ელიტის ზოგიერთი წევრის შესახებ პირადი კომპრომატები.

**„ამიტომ ცალკეული ადამიანები ვერ სცილდებიან ამ კაუჭს, ანუ ქართულ პოლიტიკას და ვერ იხსნიან ბორკილებს. 2008 წელს, შემოდგომაზე, როცა დასტაბილურდა ვითარება, მაშინვე საჯაროდ გამოვაცხადე (მანამდე გუნდის შიგნით ვამბობდი), რომ ვტოვებ „ნაციონალების“ სიას, რომლითაც შესული ვიყავი პარლამენტში, თორემ „ნაცმოძრაობის“ პარტიის წევრი არასდროს ვყოფილვარ. იმ პერიოდში ვთქვი, რომ 2008 წლის აგვისტოში მოხდა საშინელება, ნამდვილი ღალატი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, მაშინ ერთმაორმა ადამიანმა, დერეფნებში რომ მხვდებოდნენ, ერთგვარი შურით ჩუმად მკითხა, „შენ შეძელი ამ ბორკილების მოხსნა?“ მერე თანდათან სხვებმაც შეძლეს ბორკილების მოხსნა და აღარ ჩანან საერთოდ პოლიტიკაში.**

**ეს პროცესი დღემდე მიმდინარეობს. როცა ვამბობთ, რომ სააკაშვილმა 2016**

## ადეიშვილს წაღებული აქვს „ნაც-მოძრაობის“ ელიტის პირადი კომპრომატები და ამიტომ ვერ სცილდებიან ისინი ქართულ პოლიტიკას და ვერ იხსნიან ბორკილებს...

**წელს 28 ადამიანი გაიყვანა პარლამენტში და მათგან 22 გაექცა, ახლა რომ 36 ადამიანი შეიყვანა პარლამენტში, რამდენია წასული? ნახევარი გაქცეულია. ამიტომ იყო ბიძამისის – თემურ ალასანიას პროექტი და მოთხოვნა, არც ერთი კაცი არ შევიდეს პარლამენტში, ბოიკოტი. ალასანია ეუბნებოდა მიშას, „პარავოზად“ გიყენებენ, შეგყავს ხალხი პარლამენტში, მაგრამ გარბიან და თავის პარტიებს ქმნიან, ამას წერტილი უნდა დაესვასო. ყველას გვახსოვს ალასანიას გეგმა, ხელში ვიღებთ ძალაუფლებას, კომიტეტს ვქმნით, არც ერთი ადამიანი პარლამენტში, გუბაზ სანიკიძე პატაკს აბარებდა, რა თქმა უნდა, მე ბოლო ვიქნები, ვინც პარლამენტში შევაო“**, – იხსენებს **პეტრე მამრაძე.**

ამდენად, მიიჩნევს, რომ ხელმოცარულ „ნაციონალთა“ ნაწილი 2024 წელს მემუარების წერას დაიწყებს, 2024 წელსვე პარლამენტში შეიცვლება სპექტრი, ვიხილავთ გარკვეული სიით შესულებს, მაგრამ რას გააკეთებენ გარეთ დარჩენილები? თუ დაინახავენ, რაც არ უნდა გააკეთონ, პარლამენტში მაინც ვერ ხვდებიან, ჩამოშორდებიან პოლიტიკას, მაგრამ თუ დაინახავენ, რომ დაფინანსების სუნი ტრიალებს, ფული მოდის რომელიღაც წყაროდან, რაზეა ლაპარაკი?! მაშინვე პოლიტიკურად გააქტიურდებიან.

**„გაიხსენეთ სააკაშვილის მნიშვნელოვანი საუბარი გიორგი ვაშაძესთან, რომელსაც ეკითხება, „კი, მაგრამ, დათო ბაქრაძე რას ამბობს ყველაფერ იმაზე, რაც ხდება?“ ვაშაძე პასუხობს: „დათო ბაქრაძე ამბობს, ფული-ფული, ფული-ფული. მე კი დათოს ვეუბნები, მოდი, რაღაც შედეგი დავდოთ, ხალხს ვაჩვენოთ და მერე ფულიც გაჩნდება და სხვა რამეც-თქო“. ფულის სუნი თუ დატრიალდა, ადვილი წარმოსადგენია, „ნაცებიც“ როგორ დატრიალდებიან. ასე რომ, „ნაცების“ გააქტიურება დამოკიდებულია იმ სტიმულებზე, რაც შეიძლება იყოს მომავალში“**, – დასძინა **პეტრე მამრაძემ.**

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მემუარების წერით არასდროს დაკავდება, რადგან ესენი არიან მეხუთე კოლონის წარმომადგენლები, ხოლო მეხუთე კოლონის წარმომადგენლები იკვებებიან გარედან შემოსული ფულით.

**„არავითარ შემთხვევაში, „ნაცებს“ გარედან არ დააფინანსებენ, თუ ისინი საზიზღარ საქმეს არ გააკეთებენ, საზიზღარი საქმე კი იქნება ის, რომ სულ მოკლე ხანში დაიწყება ყივილი, რატომ არ იწყებს საქართველოს ხელისუფლება მოლაპარაკებებს ევროკავშირთან? ამის შემდეგ ყიჟინი ატყდება იმის შესახებ, თითქოს არჩევნები გაყალბდა. ზუსტად ეს ტექნოლოგიები აქვს გლობალური ომის პარტიას ქვეყნის გარეთ და ეს გლობალური ომის პარტია აფინანსებს საქართველოში არეულობას. ნახეთ, სერბეთში რას აკეთებენ? სერბეთში არჩევნები მოიგო კონსერვატიულმა პარტიამ, ვუჩიჩის პარტიამ და უმტკიცებენ, არ მოგიგიათო და გარე ძალები სწორედ მათ უჭერენ მხარს, ვინც პროვოკაციებზე მიდის“**, – დასძინა **ედიშერ გვენეტაძემ.**

მანვე განმარტა, რომ 2024 წლის არჩევნებზე ქართველი ხალხი „ნაციონალებს“ მიუჩენს თავის ადგილს. ცხადია, „ნაცები“ აიღებენ ხმებს, მაგრამ როგორც დღეს არიან მინდობილი მშიერი ტურებივით და კივიან, რას დაბოდიალობენ, თავად არ იციან, ისე 2024 წლის შემდეგ დროის ამბავი იქნება მათი სრულიად გაქრობა პოლიტიკური ველიდან.

**მანანა ნოზაძე**

## თემურ ალასანიას პროექტი ჩაფლავდა!




## ხელმოცარულ „ნაციონალთა“ ნაწილი 2024 წელს მემუარების წერას დაიწყებს, 2024 წელსვე პარლამენტში შეიცვლება სპექტრი, ვიხილავთ გარკვეული სიით შესულებს, მაგრამ რას გააკეთებენ გარეთ დარჩენილები?







## თამარ ჩერგოლეიშვილი: ვერ ერთიანდებიან მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ პირველობას ვერ იყოფენ



**წლებია, ოპოზიციონერი პოლიტიკოსების უდიდესი უმრავლესობა ხალხს გაერთიანებას ჰპირდება და წლებია, ამაშიც ლუზერია. ანუ ხალხს ცრუ მოლოდინს უქმნიან, თითქოს გაერთიანებაა პანაცეა და მერე ამ ცრუ მოლოდინსაც უცრუებენ,** – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრი თამარ ჩერგოლეიშვილი სოციალურ ქსელში წერს.

**„სინამდვილეში, მიზნის გარშემო ერთიანობა ამ პოლიტიკოსებს არ სურთ. მათ სურთ საკუთარი ფიგურის გარშემო ერთიანობა. მიზნის გარშემო ერთიანობა რომ სურდეს, მაგალითად, გვარამიას – ცალკე ძალას რატომ შექმნიდა? მიშას მიზნებთან დაპირისპირებულია გვარამია? თუ დაპირისპირებულია, რატომ არ იძახის, რაშია დაპირისპირებული? თუ მიშას არ უპირისპირდება, ცალკე ძალას რატომ ქმნის? „ნაცებს“ რატომ არ უერთდება? დამატებით ფრაგმენტაციას რატომ ახდენს, თან „ერთიანობის“ სახელით? პასუხს გონიერი ადამიანი თავადაც მიხვდება. გვარამიას თვითონ უნდა პირველობა და ერთიანობაშიც მის გარშემო ერთიანობას მოიაზრებს. შინაარსობრივი სხვაობა ხაზეიშვილს, გვარამიას, ხაზარაძესა და პირობით ლომჯარიას შორის არ არსებობს – მხოლოდ ეგო განასხვავებთ (ვიღაცას თუ ხაზე უფრო ეგოიმება, ცოტა ხანს აცადოს და მაგასაც ჩააცმევენ ბოტეგას „ტუფლებს“).**

**ვერ ერთიანდებიან მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ პირველობას ვერ იყოფენ.**

**საქართველოს მოქალაქეების ინტერესები არ ყოფს ამ პოლიტიკოსებს შინაარსობრივად – მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ეგო ყოფს და ამ ეგოს დასაბუსტი ერთიანობაა მათი მიზანი. სამწუხაროდ, ამათთან კობახიძეც მართალია“**, – წერს ჩერგოლეიშვილი.



# მდიდრები უფრო გამდიდრდნენო, ღარიბებიც რომ გამდიდრდნენ, რა მოხდებაო?

**საქართველოს ბოლოდროინდელი ისტორია, უფრო სწორად, ისტორიები: ყოფაში, სოციალურ თუ პოლიტიკურ მოვლენებში და სხვა მრავალგვარ მიმართულებებში მეტისმეტად ალოგიკურია და ისე უცნაურად ვითარდება, რომ არ ვიცი, რა დავარქვა ყოველივე ამას.**

**მინდა ჩემი აღქმული სურათები, დღევანდელ ქართული სოციალური თუ პოლიტიკური მოვლენებისა, თქვენც დაგანახოთ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ჩემი განწყობა თქვენც გაგიზიაროთ, მაქსიმალურად ვეცდები, ვიყო ობიექტური, თუმცა ჩემი განცდები და ფიქრები ჩემია და მისი სამართლიანობა თქვენ უნდა შეაფასოთ.**

**ახლა 2024 წელია, მოდი, ერთად ვიფიქროთ, რა ხდება ჩვენს თვალწინ, ჩვენს დროში, ჩვენს ეპოქაში და რატომ. სანამ უნდა ვიყოთ ასეთი უხამსობის მაყურებელნი, თუმცა, ისიც ვიფიქრე, რომელი ეპოქის ისტორია ყოფილა საქართველოში ლოგიკური, ნორმალური და ხალხისთვის სასიკეთო.**

საქმე იმაშია, რომ ახლა, ოცდამეერთე საუკუნეში ვცხოვრობთ და თითოეული უკუღმართული მოვლენის მომსწრე ჩვენა ვართ, ამ დროის ადამიანები, ზოგი თავად ჩართული ამ უკუღმართობებში და ზოგიც გარედან მაყურებლები. მაგრამ, მერწმუნეთ, არც ერთი მათგანი არ არის ბედნიერი. ერთმანეთს აწამებენ ხან სიტყვით და ხან მუშტით, ასე მიედინება ჩვენი ცხოვრება აგერ ჰა, ოცდაათი წელია. ამ ხნის განმავლობაში, ვერ ვიტყვი, რომ ცვლილებები არ ყოფილა. არის ცვლილებები და როგორი მერე! დედაქალაქი, წოწოლა შენობებით ვითომ ნიუ-იორკს მიამსგავსეს, სოფლები კი – მოსახლეობაგაკრეფილ მდუმარე სასაფლაოებს... ყველაზე უფრო საყურადღებოა სოციალური უთანასწორობის გაღრმავება, მდიდრები კიდევ უფრო გამდიდრდნენ, ღარიბები მოგვიმრავლდნენ, უბედურება ის არის, რომ მდიდრები ერთმანეთს ეჯიბრებიან ქონების შეძენაში.

მაგალითად – ოპოზიციას სხვა არაფერი არ ადარდებს ისე, როგორც პოზიციაში მყოფთა სიმდიდრე (იხილეთ მელაძის ამაზრზენი „შაბათობები“ ტელევიზიიდან და ყველაფერს მიხვდებით), გულზე სკდებიან, მაძებარი ძაღლებივით დასდევენ და ეძებენ ამა თუ იმ პარლამენტარ-პოზიციონერის ქონებას. მილიარდერ ივანიშვილს კი ცოტაღა აკლია, ჯვარზე აცვან, რატომ მე არ მიწილადებს თავზე საყრელად დაგროვებულ თავის ქონებასო...

ვიცით, რომ ბევრსაც უწილადა თავისი მონაპოვარი, „მიღვწიან მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონებიო“ – ფიქრობდა ალბათ, მაგრამ რა გამოვიდა აქედან? უამრავი უმადური და მტერი გაიჩინა. განა დიდი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი ამ საკითხზე არ ფიქრობდა, როდესაც საქართველოს ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო რომანად აღიარებულ „დათა თუთაშხიას“ წერდა? და განა მარტო ეს? ბევრი მაგალითი ვიცით, რომ ნაჩუქარს და ნაწყალობევს კარგი შედეგი არ მოაქვს არც თუნდაც საწყალი კაცისთვის და არც მწყალობლისთვის...

ასეა თუ ისე, უმადური და სხვის ხელში შემყურე ადამიანებიც მომრავლდნენ, გაიწ-გამოიწიეს, სხვაზე ნაკლები რითი ვართო და რაღაც მაქინაციებით მიაგნეს საშოვარს. და სად იცით? პარლამენტში. სოფლის შენებას რა უნდაო და... აი, შრომა თუ გინდათ ისწავლოთ, მათ უნდა მიბაძოთ. უთუოდ ხვდებით, ჩემო მკითხველო, რომ ეს მწარე სიტყვებია, სატირული. მტერმა ისწავლა მათგან.

მათი შრომა ერთმანეთის ლანძღვა-გინებაა, ბოღმის გადმონთხევა.

**„თევზი თავიდან ყარსო“, რომ იტყვიან, სწორედ ისეა საქმე. რაღაც საშველია მოსაძებნი, სანამ მთელი ქვეყანა არ წაგვიხდება (აგვიყროლდება). ახლა პარლამენტში ვინ რომელი პარტიაა, ვერ გაიგებ, ყველანი ერთმანეთს დაემსგავსნენ. ერთმანეთს სალანძღავი სიტყვებით რომ ვერ ამარცხებენ, თავიანთი სიავით სხვებზე გადავიდნენ...**

ასეა ჩემო მკითხველო, ხომ გახსოვთ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად გაერთიანებულები, შემართულები როგორ მტკიცედ გავიძახოდით: ოღონდ ჩვენი ქვეყანა ჩვენვე გვეკუთვნოდეს და მერე ჩვენ ვიცით, როგორ მოვუვლით და ავაყვავებთო. გავიჭირვებთ, ვიშრომებთ, თუ საჭიროება მოითხოვა, ბალახს შევჭამთ და ისე გავიტანთ თავს სანამ საქართველო არ გაბრწყინდებაო. ბალახი არა და ერთმანეთს კი ნამდვილად ჭამენ ხელისუფლებაში მოსასვლელად ვითომ შემზადებული პარტიები, ადამიანები, რომლებიც მიეჩვივნენ ხალხის სისხლით და ოფლით მონაპოვარზე მდიდრულ ცხოვრებას.

**განა ეს ასე არ არის? მართალი გითხრათ, რაც აქ დავწერე ყველაფერი თქვენგან მომისმენია, თქვენ დამანახეთ და მეც დავინახე!.**

აი, დამოუკიდებლობაზე ვსაუბრობდით... რა მოგახსენოთ, მდგომარეობა, რომელშიც ახლა საქართველო იმყოფება, როგორ შეიძლება თქვა, ეს ნამდვილად ასეაო, დამოუკიდებლები ვართო. ჯერ იყო და ამერიკის ყოფილი ელჩი ლამის ქართველთა გზის მაჩვენებელ ბელადად გამოგვეცხადა. არც ახლა ვართ რჩევებისა და მითითებების მომცემ სხვადასხვა ქვეყნების ელჩთაგან დაზღვეულნი, ზოგი გორში, სტალინის მუზეუმის დახურვას გვთხოვს (მგონი, გვიბრძანებს!) ზოგი რას და ზოგი რას. წარმოგიდგენიათ? მუზეუმი დახურონო!

ჩემო ძვირფასო მკითხველო, ჯერ სადა ვართ, თქვენ ნახეთ ევროპის წევრი ქვეყანა თუ გავხდით, აი ასეთები; როგორიც ახლა ვართ, არა მგონია ვივარგოთ. ასეთი პარლამენტით, კლანობამანიით და ხშირად უსამართლობით სად შეგვესვლება. ევროკავშირის 27 ქვეყანა! – ყველა ჭკუის სწავლებას დაგვიწყებს. ჩვენ ჩვენი სამშობლო, ჩვენი შრომით, ცოდნით, განათლებით უნდა ავაშენოთ და მერე სადაც საჭიროება მოითხოვს, იქ უნდა შევიდეთ თავდაჯერებულნიო! ბევრი რამ, საუკუნეებში გამოვლილ-გამობრძმედილი, ნამდვილი ადამიანური და ღირსეული, რაც ჩვენ, უძველეს ერს გვახასიათებს, თან გვახლავს, სადაც წავალთ იქ უნდა წავიღოთო!

**მდიდრები უფრო გამდიდრდნენ, ღარიბებიც რომ გამდიდრდნენ რა მოხდებაო! – ასე ამბობს ხალხი. არ დავუჯეროთ?**



**გულნარა სტურუა**

# უკეთ ვიცხოვრებთ თუ არა 2024 წელს?!

## მსოფლიო ბანკის პროგნოზი

**მსოფლიო ბანკი ანგარიშში წერს, რომ წელს საქართველოს ეკონომიკა 4.8%-ით გაიზრდება.**

**მსოფლიო ბანკი წელს საქართველოს ეკონომიკის ზრდის შენელებას ელის. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ისე სწრაფად აღარ გაიზრდება, როგორც ბოლო ორი წელიწადი. ბანკი ბოლო ანგარიშში წერს, რომ 2024 წელს საქართველოს 4.8%-იანი ეკონომიკური ზრდა ექნება.**

საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს ეკონომისტი **ბესო ნამჩავაძე** ამბობს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის შენელებასთან ერთად შენელდება ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლებიც:

„ასევე შემცირდება სამუშაო ადგილების შექმნის ზრდის ტემპი. ამიტომ ყოველთვის სასურველია ეკონომიკური ზრდა მაღალი იყოს. 2024 წელს მთავრობა 5.2%-იან ზრდას პროგნოზირებს და აქედანაც ჩანს, რომ არ ელოდებიან თუნდაც ისეთი ეკონომიკური ზრდა იყოს, როგორიც 2023 წელს“.

2022 წელს საქართველოს ეკონომიკის ზომა 24.6 მილიარდი დოლარი იყო, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 6672 დოლარამდე გაიზარდა.

2023 წლის მონაცემები იანვრის ბოლოს გახდება ცნობილი, თუმცა 11 თვის განმავლობაში საშუალო ზრდა 6.9% იყო, რაც ნიშნავს, რომ 2023 წელს მშპ-მა 30 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ბოლო ორი წელი საქართველოს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა ჰქონდა. ამას სხვადასხვა მიზეზი განაპირობებდა, მათ შორის, პანდემიის გამო გაჩერებული ეკონომიკის აღდგენა და რუსეთ-უკრაინის ომი, რის გამოც რუსეთიდან სხვადასხვა გზით შემოსული თანხა გაიზარდა.

### „ომის ეფექტის“ მოტანილი სარგებელი

**ეკონომიკა იმ მოცულობით რომ აღარ იზრდება, როგორც წინა წლებში, რუსეთიდან ჩამოსული მიგრანტების და მათ მიერ საქართველოში დახარჯული თუ გადმოგზავნილი თანხის კლებითაც არის გამოწვეული. „ომის ეფექტი“ ქვეყნის ეკონომიკაზე მილევადია. არადა, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ საქართველოში რუსეთიდან რეკორდული ორ მილიარდ დოლარზე მეტი გადმოირიცხა, რის გამოც 2022 წელს ფულადმა გზავნილებმა ისტორიულ მაჩვენებელს მიაღწია. იგივე მოხდა ტურიზმის შემთხვევაშიც და აქაც რუსეთის მოქალაქეების დახარჯულმა ფულმა ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს რეკორდულ შემოსავალში. უკრაინის ომის შემდეგ, გაზრდილია „შუა დერეფნის“ მარშრუტით ჩინეთიდან აზერბაიჯანის და შემდეგ საქართველოს გავლით ევროპაში გატარებული ტვირთის მოცულობა. ასევე გაიზარდა ავტომობილების რეექსპორტი, ამან თავის მხრივ მთლიანი ექსპორტის რეკორდული ზრდა გამოიწვია.**



ქვეყანაში ჩამოსულმა მიგრანტებმა უძრავი ქონების ბაზარიც შეცვალეს – გაიზარდა როგორც გასაყიდი, ისე



# რატომ აქვს აფხაზურ კამბალას თვალები შუბლზე?!

**ვინ თქვა, რომ პატარა ქვეყანა გვაქვს? – არა, ჩვენი აფხაზეთი დიდია და ძლევამოსილი, მთელი მისი ულევი რესურსებით!.. შავი ზღვის უსაზღვრო აფხაზური ნაწილი, ქვეყნის მოქალაქეების მიერ დაუცველი და მოუფრთხილებელი, უკვე 25 წელია, იძარცვება, მაგრამ არც თევზი ამოლეულა და ზღვაც სუფთაა. წარმოგიდგენიათ, რაოდენ გრძენი მეცნიერები გვყავს და როგორი კვლევითი გზა? – ჩვენთვის, აფხაზებისთვის და ჩვენი სამეცნიერო თანამეგობრობისთვის ხომ ყველაფერია ცნობილი, რაც ხდება ზღვაში, მის სიღრმეებში, უმცირესი დეტალებით... თანაც, ყოველგვარი ფლოტის გარეშე ვახერხებთ, საიმედოდ ვაკონტროლოთ მთელი ზღვა!**

მსოფლიოს უნდა შურდეს ჩვენი: მათ ხომ იქ მთელი კვლევითი ინსტიტუტები აქვთ და ფლოტილიები, მაგრამ არაფერი გაეგებათ არც ზღვის, არც საზღვაო საზღვრების დაცვის... სულ სხვა საქმეა ჩვენი უბადლო, ყოვლისმცოდნე სპეციალისტები: მათ ხომ გვერდზე მოიტოვეს დღემდე ცნობილი ყველა სამეცნიერო დასაბუთება, ზღვის შესწავლის კუთხით მსოფლიო დონის მეცნიერების ნაშრომები გააბათილეს და დაადგინეს, რომ თუ ზღვიდან მთელს ხამსას არ ამოვიყვანთ, ის დაიღუპება და ფსკერზე ჩაწვება, რაც წყლის დაბინძურებას გამოიწვევს... ჩვენების გარდა, ვერავინ მიხვდა, რატომ დაგროვდა თურმე, შავ ზღვაში, 200 მეტრის სიღრმეზე გოგირდწყალბადი: ეს, თურმე, – იმიტომ, რომ შავი ზღვის აუზის ქვეყნები ხამსას არ იჭერენ! ჩვენ კი ვიჭერთ და ხედავთ, როგორი სუფთა ზღვა გვაქვს? მთელმა მსოფლიომ ჩვენგან უნდა ისწავლოს!.. ისე, ჩვენში დარჩეს და კი ვიხრჩობით სიმყრალისგან... მაგრამ ფულს ხომ სუნი არ აქვს? ხამსა კი, საბოლოო ჯამში, სწორედ ფულია...

ბუნებაზე ესოდენ მზრუნველმა ჩვენმა ადმინისტრატორებმა კლიენტებიც მოიძიეს, რომლებიც თევზს ტონას 2 ათას რუბლად ყიდულობენ... ძალიან იაფია მათთვის ჩვენი ხამსა... მაგრამ ყველა რომ არ დავიჭიროთ, უკანასკნელ თევზამდე, ხომ მოკვდება და ხომ დაგვიბინძურებს ზღვას?!

**როგორ ფიქრობთ, რატომ იკლავდა ესოდენ პატრიოტულად თავს ჩვენი სასიქადულო ოპოზიცია ამასწინათ ბიჭვინთის გამო? – იმიტომ, რომ ეშინოდა, სამომავლოდ ზღვის ამ გზით „წმენდის" შესაძლებლობა არ წართმეოდა. მაგრამ არა, მიდი, მოილხინე, ინავარდე მშობლიურ ველ-მინდვრებზე! ყველაფერი ნათესავურ, ძმურ „გაგებაზეა" აგებული: შეაქვთ ფული საჭირო კაბინეტებში, ეკოლოგებიც იჭირვებენ და პოულობენ სამეცნიერო დასაბუთებას – და აი, უკვე თურქული სეინერების მოქმედებას ვადევნებთ თვალს... ხოლო ის, რომ ქვირითობის პერიოდია, მხოლოდ თევზს აღელვებს, რომელიც, როგორც ცნობილია, უტყვია.**

**ეს მორიგი მტკიცებულებაა იმისა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მართვის ამჟამინდელი სისტემა დამღუპველია. ხელმძღვანელი პირები ანადგურებენ ყველაფერს, მიუხედავად ეკოლოგიური ნორმებისა და მთელი იმ ცხადი ზიანისა, რომელიც ჩვენს ბუნებას ადგება. სისტემა ხომ აუცილებლად უნდა გადარჩეს, ამისთვის კი საჭიროა, კვებონ თავისი დაცვა, აპარატი, მთელი ადმინისტრაციული რესურსი... სწორედ ამიტომ გვაქვს ასეთი ბაკქანალია თითქოსდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მთავარია, გადარჩნენ და გამდიდრდნენ – იმას იქით ყველაფერი წყალს წაუღია!**

**ჩვენ უბრალოდ უმოწყალოდ ვძარცვავთ საკუთარ ბუნებას ათასგვარი გამოგონილი მოტივით – ვითომდა ბიუჯეტის შესავსებად, ვითომდა პენსიონერებსა და მოქალაქეთა სოციალურ უზრუნველყოფაზე ზრუნვით... არის ვინმე, ვინც ჯერაც ვერ გააცნობიერა, რას წარმოადგენს ჩვენი მმართველობითი სისტემა და საით მივექანებით ყველანი ერთად, რომელი „უკეთესი ხვალინდელი დღისკენ"? ეს ალბათ, ზუსტად იცის ჩვენმა ოპოზიციამ – იმან, რომელიც ხელისუფლების ასლია, ოღონდ გაუარესებული ვერსია...**

ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი პოლიტიკური სისტემა საფუძველს უქმნის ახალი სახელმწიფოს შენებას მთელი მისი შემაძრწუნებელი სილამაზით. ყველა სახელისუფლებო ორგანოს 30-წლიანმა მუშაობამ, მილიციიდან ჩეკისტებამდე, მათი ყველაზე წარჩინებული მოწაფეების მმართველობის პირობებში აფხაზეთი იქამდე მიიყვანა, რომ ხალხს უკვე უჩნდება კითხვები: რა მიზანს ისახავდა საერთოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და რისთვის გაწირეს სიცოცხლე ჩვენი ერის საუკეთესო შვილებმა – როგორი მომავლისა და რა „თავისუფლებისთვის"?

საერთოდაც, რაზე შეიძლება საუბარი, როცა ჩვენი წინაპრების მიწა იყიდება, როცა აფხაზეთში გვისახლებენ უცხოტომელებს, რომელთაც აფხაზურ ეთნოსთან არაფერი აკავშირებთ?! რამდენად მეტნი გავხდით 30 წლის განმავლობაში აფხაზები, რამდენი მუჰაჯირი დავიბრუნეთ შინ? ან როგორ მოვიხსენიოთ აწი ჩვენი ქვეყანა? ან რა პრინციპებზე ვზარდოთ მომავალი თაობები – პრინციპზე, „მოიტყუე, უღალატე, იცხოვრე სინდის-ნამუსის გარეშე, გაყიდე მამა-პაპების მიწა გამდიდრებისთვის"?!

**ან იქნებ, სულაც არ გვიომია აფხაზეთისთვის? – მედლებს ხომ მოსკოვში გვიშტამპავენ! მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ ვიომეთ რუსეთისთვის ამიერკავკასიაში! რას ვიკატუნებთ თავს დამოუკიდებელ რესპუბლიკად და თან ათასგვარ აფერისტებს ჩვენი გამოყენების შესაძლებლობას ვაძლევთ?! ვთქვათ პირდაპირ – და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, გასაგები გახდება, რატომ ინახავს რუსეთი ჩვენს ხელისუფლებას, რატომ გვიხდის პენსიებს, ხელფასებს და თან საქმეს ისე წარმოაჩენს, თითქოს აფხაზეთის „ამოქაჩვა" სურს, თითქოს საქართველოსა და მთელი დანარჩენი მტრული სამყაროსგან გვიცავს...**

**ჩვენს გარშემო რუსი მესაზღვრეებია, არავის უშვებენ არც შიგნით, არც გარეთ, ძალიან გვიფრთხილდებიან იმის შიშით, რომ სხვა სამყაროს ხილვამ არ გაგვაფუჭოს... მართალია, აბა რა! თუ არ გჯერათ, ანქვაბს ჰკითხეთ: მან უკეთ იცის, რატომაც... აბა, თუ თევზს მღვრიე წყალში არ დაიჭერ, მოკვდება, საწყალი, – ჩვენი სასიქადულო მეცნიერები ტყუილს ხომ არ გვეტყოდნენ?!**

**ახლა გასაგებია, რატომ აუვიდა აფხაზურ კამბალას თვალები შუბლზე?**

**ინალ არისთავა**

## მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა

პროცენტი




*2023 წელი მოცემულია 11 თვე

Chart: რადიო თავისუფლება • Source: საქსტატი

გასაქირავებელი საცხოვრებლის ფასი. ამას თან ერთვოდა სამომხმარებლო ფასების ზრდა, იგივე ინფლაცია. შარშან ინფლაცია კი შემცირდა, მაგრამ გაძვირებული პროდუქტი უფრო მეტად აღარ გაძვირდა, მაგრამ არც გაიაფებულა.

მიგრანტების გავლენა მუდმივად რომ არ გაგრძელდებოდა, ამას მსოფლიო ბანკი 2023 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებულ ანგარიშშიც წერდა: „რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ გაზრდილი ფულადი ნაკადები 2023 წლის მეორე ნახევრიდან შემცირდება, კლება 2024 წელსაც გაგრძელდება".

მართლაც ასე მოხდა და შარშან მაისიდან რუსეთიდან ფულის გადმორიცხვა შემცირდა. ქვეყანაში ასევე შემცირდა რუსეთის მოქალაქეების რაოდენობაც და ამას შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებიც ადასტურებს: შარშან საქართველო რუსეთის უფრო მეტმა მოქალაქემ დატოვა, ვიდრე შემოვიდა.

„ორნიშნა ეკონომიკური ზრდის პერიოდი რომ დასრულდა, ეს 2023 წლის მონაცემებიდანაც ჩანს", – ამბობს ბესო ნამჩავაძე.

### ომის გავლენა სრულად მიილია?

როგორც საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს ეკონომისტი ამბობს – არა.

**„საქართველოს მთავრობა რომ ამბობს, 5.2%-იანი ეკონომიკური ზრდა გვექნებაო, ამაში „ომის ეფექტი" კვლავ იგულისხმება. თუმცა იმდენი აღარ იქნება, რაც 2022 წელს იყო, როცა ლამის ჩვენი ეკონომიკური ზრდის ნახევარი ამაზე მოდიოდა. ეს ფაქტორი რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა 3 ან 4% ზრდის პროგნოზი გვქონოდა, ანუ ომის გავლენა მაინც რჩება. ყველაფერი ეს ორ ცუდ რამეს აჩვენებს: პირველი ის, რომ რუსეთთან ზედმეტად დაკავშირებული ვართ და მისი ეკონომიკის საჭიროება გვიდგას. მეორეა, რომ სხვა ისეთს ვერაფერს ვაკეთებთ. ქვეყანაში არაფერი კეთდება ისეთი, რითიც მივაღწევდით თუნდაც 5-6%-იან ზრდას",** – ამბობს **ნამჩავაძე**.

კვლევით ინსტიტუტ Gnomon Wisise-ის მკვლევრის **ეგნატე შამუგიას** თქმით, საქართველოდან წასული რუსი მიგრანტების გავლენა ეკონომიკაზე 2023 წელსაც საგრძნობი გახდა, ეკონომიკური ზრდა შენელდა.

**„აქ ჩამოსულ ადამიანებს ფინანსური რესურსი შემოჰყვათ... და თუ ვამბობთ, რომ ამ ადამიანებმა გაზარდეს საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპი, მათი გასვლა შეანელებს ზრდას. ჩვენ ეს ეფექტი ვნახეთ უკვე 2023 წლის ბოლოს. ქართული რეალობისთვის საშუალოზე მდიდარი ადამიანები იყვნენ და უფრო მეტს მოიხმარდნენ. ამ ადამიანების სულ მცირე მესამედი გავიდა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ დარჩენილი რუსების მსყიდველუნარიანობა გაუარესდა, რადგან რუბლი ლართან მიმართებით გაუფასურებულია.**

**პირობითად, თუ 2022 წლის დასაწყისში 100 რუბლით შეეძლოთ 5.2 ლარის ყიდვა, 2023 წლის ბოლოს ამ ფასად 3 ლარის ყიდვაა შესაძლებელი.**

**ომის შემდეგ მხოლოდ საქართველო არ იყო გამორჩეული მაღალი ეკონომიკური ზრდით, იგივე ვითარება იყო სომხეთშიც. უბრალოდ ამ ორ ქვეყანას შორის განსხვავება ის არის, რომ აქ პოლიტიკური ხელისუფლება აცხადებდა, რომ ეს მათი გონივრული პოლიტიკის შედეგი იყო, რაც ტყუილია. სომხეთში კი ამბობდნენ, რომ რუსეთიდან მიღებული მიგრანტების შედეგი იყო",** – ამბობს **შამუგია**.

### 5 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა ბევრია თუ ცოტა?

„ძალიან დაბალია" საქართველოს მსგავსი განვითარებადი ქვეყნისთვის, ამბობს **ეგნატე შამუგია** და ხსნის:

**„აი, მაგალითად, თუ შარშან თვეში საშუალოდ 1000 ლარი მქონდა და ამ თანხით საჭმელს ვჭამდი, კალათბურთს ვთამაშობდი და ა.შ., წელს თუ მექნება 1050 ლარი, ამით ჩემი მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდება?!. მარტივად ამას ნიშნავს 5%-იანი ეკონომიკური ზრდა",** – ამბობს ის.

ეკონომიკურ ზრდასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია ინფლაცია. ინფლაცია იგივე ფულის მსყიდველუნარიანობის შემცირებაა. ამიტომ დაბალი ინფლაციის შენარჩუნება, რაც რეალურად ფასების სტაბილურობას გულისხმობს, ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანაა. ინფლაციის დაბალ დონედ ცენტრალური ბანკი 3%-ს მიიჩნევს.

ბოლო წლებში ინფლაციის ამ მაჩვენებლის შენარჩუნება ვერ ხერხდებოდა. თუმცა ეროვნული ბანკის პროგნოზით, 2024 წელს ფასების დონე ამ ნიშნულის მახლობლად უნდა დარჩეს. მსოფლიო ბანკი კი საქართველოში წელს 2.5%-იან ინფლაციას ელოდება. მაღალი ეკონომიკური ზრდა და დაბალი ინფლაცია წელს მთავრობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან შემოდგომაზე „ქართული ოცნება" მეოთხე ვადით ეცდება ხელისუფლებაში დარჩენას.

**მარიამ ვარადაშვილი**



**ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲓᲘᲒᲠᲘᲐᲚᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ ᲦᲕᲘᲜᲘᲐᲜᲘ ᲓᲝᲥᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲓᲒᲐᲗ, ᲑᲝᲚᲝ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ ᲨᲔᲕᲮᲔᲓᲝᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲑᲐ ᲕᲪᲐᲓᲝᲗ. ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲩᲐᲕᲣᲤᲘᲥᲠᲓᲔᲗ, ᲠᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲘᲓᲔᲒᲐᲜᲝ ᲚᲐᲜᲫᲦᲕᲐ;**

**ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ (ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲐ, 30-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲔᲑᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ „ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ," ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲘ, ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘ...) ᲒᲐᲧᲐᲚᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲣᲝᲙᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲔᲑᲘ; ᲑᲝᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲞᲐᲠᲞᲐᲨᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲗᲘᲗᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲬᲝᲕᲘᲚᲘ „ᲗᲔᲝᲠᲘᲔᲑᲘ" ᲔᲒᲠᲔᲗ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ „ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ", „ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ", „ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲨᲝᲑᲘᲡ", „ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲮᲐᲢᲔᲑᲘᲡ", „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲣᲡᲣᲚᲔᲑᲘᲡ", ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲐᲝᲑᲘᲡ" ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.**

**რა თქმა უნდა, ყველაფერზე მსჯელობა არც ღირს და ვერც მოხერხდება. ამიტომ გავიხსენოთ ერთი ხელოვნურად გაზუმზერაზებული ფაქტი კოდური სახელწოდებით „ნეტარი მატრონას სინდრომი".**

გავზედავ და, ზოდიშის მოხდით შეგახსენებთ, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ „ნეტარ მატრონა მოსკოველად" (და არა „წმინდა მატრონად") აღიარებული მატრონა ნიკონოვა დაიბადა 1885 წელს ტულის ოლქის სოფელ სებინოში. გოგონა დაბადებიდანვე ბრმა იყო, ხოლო 15 წლის ასაკში ფეხებიც წაერთვა. რუსული წყაროების მიხედვით, უკვე 7-8 წლის ასაკში განკურნებისა და წინასწარმეტყველების გასაოცარი ნიჭი აღმოაჩნდა. მას უამრავი, მათ შორის მძიმე სენით დაავადებული ადამიანი აკითხავდა. პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, თუ არ ვცდები, 1915 წელს საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა და დარჩენილი ცხოვრება იქ გაატარა. გარდაიცვალა 1952 წელს. გადმოცემის თანახმად, თავისი ამქვეყნიური ცხოვრების დასასრული სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე თავადვე იწინასწარმეტყველა.

რაიმე უტყუარი დოკუმენტი არ არსებობს (არც შეიძლება არსებობდეს!), მაგრამ გავრცელებულია აზრი, რომ მკურნალ-ნათელმხილველ მატრონას საიდუმლოდ მაშინდელი საბჭოთა იმპერიის გამოჩენილი ადამიანები, უმაღლესი მმართველი წრეების წარმომადგენლები და თვით იოსებ სტალინიც კი სტუმრობდნენ.

რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი „ნეტარ მატრონა მოსკოველად" გარდაცვალებიდან 47 წლის შემდეგ, 1999 წელს დაკანონა.

ნეტარი მატრონა რუს მორწმუნეებში დღესაც საკმაოდ პოპულარულია და მისი ხატიც რუსეთის ბევრ ეკლესიაში ასვენია.

**ზუსტად არ ვიცი როდის, მაგრამ ირმა ინაშვილის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს" სამების საკათედრო ტაძრისთვის შეუწირავს მრავალფიგურიანი ხატი, რომელზეც გამოსახულია თვითონ ნეტარი მატრონა და ეპიზოდები მისი ცხოვრებიდან. ერთ-ერთი ეპიზოდი მატრონასთან სტალინის სტუმრობას ასახავს. ვიმეორებ, საუბარია არა სტალინის ხატზე, სტალინის გაწმინდანება-გაღმერთებაზე, არამედ მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ტირანის ქედმოდრეკილ სტუმრობაზე იმხანად მკურნალ და წინასწარმეტყველ გლეხის ქალ მატრონასთან.**

იმ რამდენიმე თვის განმავლობაში, ვიდრე „მატრონას ხატი" სამების საკათედრო ტაძარში ესვენა, მისი არსებობა არცერთ, თვით საააკაშვილ-ხაზეიშვილის დონეზე მორწმუნე პოლიტიკოსსაც კი არ შეუნიშნავს. შენიშნეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ნაახალწლევს ტაძარში თავისი ურწმუნეობითა (თვითონ ადასტურებს, ათეისტი ვარო) და საეჭვო რეპუტაციით (ამასაც თვითონ ადასტურებს) სოლიდური ასაკის საზოგადოებრივი აქტივისტი (ასე უწოდებს საკუთარ თავს) ნატა ფერაძე შეიჭრა და ხატს ზეთოვანი საღებავი შეასხა! თვითონ ფერაძისა და მისი მომხრეების განმარტებით, ამ ზემკრეხელური საქციელის მოტივი, თურმე, მეტი რომ არ იქნება, ისეთი კეთილშობილური ყოფილა – ხატზე არ უნდა იყოს გამოსახული ის პირი, ვის სახელსაც საბჭოთა 30-იანი წლების რეპრესიები, სისასტიკე და, საერთოდ, ანტიეკლესიური მოღვაწეობა უკავშირდება.

**ᲓᲐ ᲐᲒᲝᲠᲓᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲣᲑᲘᲜᲫᲣᲠᲔᲡᲘ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ. ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ, ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲣᲒᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲭᲕᲝᲓ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲔᲑᲘ ᲡᲐᲮ-**

# ᲣᲠᲩᲮᲣᲚᲔᲑᲘᲡ

**ᲚᲨᲘ ᲩᲐᲙᲔᲢᲘᲚ ᲒᲛᲘᲠᲝᲒᲐᲖᲔ ᲛᲔᲝᲪᲜᲔᲑᲔ ᲗᲐᲚᲦᲘᲗ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲤᲔᲠᲐᲫᲔᲖᲔ. ᲛᲐᲡᲐᲪ ᲔᲡ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ.**

ყველაზე საწყენი და დამაფიქრებელი ის არის, რომ ამ „ანტისტალინურ თეორიას" ბევრი გულუბრყვილო მორწმუნე, ურწმუნო, საეკლესიო პირი და, ჩემდა გასაკვირად, მოაზროვნე რომ მეგონა, ის ადამიანიც შეუერთდა: ნატა ფერაძე გმირია! ის ნახატი ტაძრიდან უნდა გამოვათრიოთ! სტალინი მწამებელია! სტალინის ფიგურა ხატზე არ უნდა იყოს!..

დარწმუნებული არ ვარ, ღირს თუ არა კიდევ ერთხელ იმის შეხსენება, რას ნიშნავს მრავალფიგურიან ხატებზე გამოსახული არაწმინდანები, ცხოველები, ეშმაკები და ურჩხულებიც კი. მაგალითად, წმინდა მარინეს ხატზე გამოსახული ეშმაკი მიანიშნებს არა ეშმაკის „წმინდანობაზე", არამედ წმინდა მარინას მიერ ეშმაკეულის ძლევაზე; წმინდა გიორგის ხატზე გამოსახული ურჩხული წმინდა გიორგის ურჩხულზე, ანუ სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების ზეიმია; მაცხოვრის შობის ხატზე გამოსახული ცხოველები სიკეთის, შრომისმოყვარეობის, გამრავლებისა და სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლოა; იმავე წმინდა გიორგის ხატზე მისი მწამებლებისა და იმპერატორ დიოკლეტიანეს ფიგურები ისტორიული სინამდვილის დაუვიწყებლობისკენ მოწოდებაა და არ დიოკლეტიანეს გაწმინდანების მცდელობა...

ჩემი აზრით, ზუსტად ასეთივე ვითარებაა ნეტარი მატრონას ხატთან დაკავშირებითაც – მასზე გამოსახულია ეპიზოდები მისი ცხოვრებიდან და მათ შორის, შეხვედრა სტალინთან. აქ მნიშვნელოვანია არა ფაქტის ისტორიულობა, არამედ ნეტარი მატრონას ავტორიტეტზე ხაზგასმა – ფაშისტურ გერმანიასთან ბრძოლის ყველაზე კრიტიკულ მომენტში თავისი დაუნდობლობითა და სისასტიკით ცნობილი მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი წინასწარმეტყველ მატრონასთან შესახვედრად და მისგან რჩევების მისაღებად იცლის!

ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს ამ ვიზიტის დოკუმენტურად დადასტურების მცდელობებსაც (სტალინის ცხოვრებიდან უამრავი რამ არის ბურუსით მოცული) – მთავარი მატრონას ავტორიტეტის აღიარებაა. ეს უნდა იცოდეს ყველა მართლმორწმუნე ქრისტიანმა და მათ შორის მოინკვიზიტორო დეკანოზმა ჭიღლაძემაც, ასეთ რამეს რომ მოგვიწოდებს: „არათუ საღებავის შესხმა, მართლმადიდებლური კანონიკის მიხედვით არაკანონიკური და მკრეხელური ხატი უნდა დაიწვას! ამიტომ მე, როგორც მართლმადიდებელი მღვდელი, მიტროსანი დეკანოზი, ჩვენი საპატრიარქოსგან მოვითხოვ კატეგორიულად, რომ ეს მატრონა-სტალინის მკრეხელური ნახატი გამოათრიონ საპატრიარქო ტაძრიდან და საჯაროდ დაწვან, თანახმად საეკლესიო წესისა!"

ამ ფონზე სულაც არ არის გასაკვირი მწერლად აღიარებული ლაშა ბუღაძის მამაცური განცხადება: „სტალინი რაც იყო, ბევრმა იცის (ან წესით უნდა იცოდეს), მაგრამ ის დღეს პუტინიზმის პროპაგანდისტული კულტიცაა. ახალი რუსული ხატი, სადაც ისიც არის გამოსახული, სამების საკათედრო ტაძარშია. საზოგადოებამ, მედიამ და პოლიტიკოსებმა ეს სკანდალი ისე

## ᲜᲐᲢᲐ ᲤᲔᲠᲐᲫᲘᲡ „ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘ" ᲓᲐ ᲜᲔᲢᲐᲠᲘ ᲛᲐᲢᲠᲝᲜᲐᲡ ᲮᲐᲢᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲢᲧᲣᲐᲠᲐᲐ ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲩᲚᲣᲜᲒᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲓᲘᲐᲓᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ ᲛᲘᲨᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲐᲜ, ᲡᲣᲚᲐᲪ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲮᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲦᲖᲔᲕᲔᲑᲐᲐ!









უნდა გაატარონ, რომ თითქოს არც არაფერი მომხდარა?! კონიუნქტურისა და საპატრიარქოში ჩაბუდებული კაგებეშნიკების შიშით პირში უნდა ჩაიგუბონ წყალი? ჟურნალისტებმა არ უნდა ჰკითხონ ე. წ. სასულიერო პირებს – რატომ არის ეს ანტიქრისტიანული და უზნეო გამოსახულება ეკლესიაში?! ხომ წარმოგვიდგენია, რა მოხდებოდა, ბრაუნაუს ეკლესიაში რომ გამოედოთ ადოლფ ჰიტლერის გამოსახულება? ეს არ არის რელიგიური საკითხი, ეს პუტინიზმის ჰიბრიდული ომის ნაწილია“.

მხოლოდ მცირე კომენტარით შემოვიფარგლები – ბრაუნაუ არის პატარა ქალაქი ავსტრიაში, სადაც 1889 წელს დაიბადა ადოლფ შიკლგრუბერი (ჰიტლერი). ეტყობა, ბატონ ლაშა ბუღაძეს ჰგონია, რომ იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი) თბილისში დაიბადა.

გადიდპოლიტიკოსებული დიდი ნაჟურნალისტარის, ბატონი ალეკო ელისაშვილის მოსაზრებასაც გავეცნოთ: „ლავრენტი ბერიას, სერგო ორჯონიკიძის და ფილიპე მახარაძის ხატებს წერენ და უახლოეს პერიოდში ვიხილავთ ალბათ ხომ სამებაში(?) ჯალალ ედ დინის, აღა მაჰმად ხანის, ბუღა თურქის, აბულ ყასიმის და თემურ ლენგის ხატებიც არ დაგავიწყდეთ ემანდ. ეგენიც ერთობ სათნონი, სათუთნი და ქართველთა და ქრისტეს მოყვარენი იყვნენ. მარაზმი ხდება ეკლესიაში, მარაზმი და მეტი არაფერი!“

ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი განცხადებები ძალიან ბევრია. და მაინც, პარლამენტარ რომან გოცირიძის გამოსვლამ გამაოცა – მართალია, მისი ნაძალადევი პოლიტიკური ენაკვიმატობანი გულზე დიდად არ მეხატება, მაგრამ მიმაჩნია, რომ არის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული და კომპეტენტური ფიგურა დღევანდელ ქართულ პარლამენტში. ჰოდა, ეს ყოვლად განათლებული, კომპეტენტური და მრისხანე ოპოზიციონერი პარლამენტარი ასეთ რამეს ბრძანებს:



**გვინდა თუ არ გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, მისი ნაკეთები საქმეებიდან გამომდინარე, იოსებ სტალინი არის მსოფლიო მნიშვნელობის ურყევი ავტორიტეტი.**

# შემოსევა

„არა მხოლოდ პოსტებითა თუ კომენტარებით, არამედ ოფიციალურად, პარლამენტის დროშებიანი ტრიბუნის ფონზე მხარდაჭერა გამოვუთქვი ნატა ფერაძეს და მოვიწონე მისი საქციელი. მედიას, მგონი, დიდად არც შეუწუხებია თავი ამის გაშუქებით.“

იმედია, ბატონი რომანი ამ ყოვლად სათნო ქალბატონის საქციელში მის მიერ სამების ტაძარში ჩადენილ უმსგავსობას გულისხმობს (და არა იმას, 2012 წლამდე სათაფლიის გამოქვაბულში ურჩხულებთან, გველეშაპებთან და იმპერატორ დიოკლეტიანესთან სექსით რომ ერთობოდა). თუმცა, არ მგონია, ეკლესიის მძიმედ შეურაცხმყოფელი საეჭვო რეპუტაციის ადამიანისადმი (თუნდაც ის ნატა ფერაძე იყოს!) მხარდაჭერამ ნებისმიერ პოლიტიკოსს დივიდენდები შესძინოს. აი, ქილიკის საგნად კი ნამდვილად შეიძლება იქცეს.

დარწმუნებული ვარ, ეს ანბანური ჭეშმარიტება რომანმა და სხვებმაც შესანიშნავად იციან. და მაინც, გონება მიშა-ვაშა-ხაზე-ნატასნაირთა გვერდში დგომისკენ და სინამდვილის შეუფასებლობისკენ მიუწევთ.

არ დავიჩემებ, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ვღაღადებ-მეთქი, მაგრამ ჩემი მოკრძალებული აზრით, სინამდვილე ასეთია:

მთელ ცივილიზებულ სამყაროში ეკლესია არის უდიდესი ავტორიტეტი. საბედნიეროდ, ასეა საქართველოშიც. მეტიც, საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ქართველი ერის არსებობა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდესი ძალისხმევის შედეგია. მისი გავლენა ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე დღესაც ძალიან მნიშვნელოვანია. თუ უახლოეს წარსულს გადავხედავთ, ეკლესიის დისკრედიტაციის, მისი საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის დაქვემდებარების მცდელობათა დანახვა არ გაგვიჭირდება. ბოდიშს მოვიხდი ამ გამოთქმისთვის, მაგრამ ვინმე ათეისტ ვიგინდარა ქალბატონს ნეტარი მატრონას ხატი ფეხებზე ჰკიდია. მისი მთავარი მიზანი, ზოგადად, ქართული ეკლესიის შეურაცხყოფა, მისი სახელის გატეხვა, მისი ავტორიტეტის შელახვაა. დარწმუნებულია, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ამით ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთვის უიმედოდ მებრძოლ პარტიას, მის სათაყვანო ბელადს დაეხმარება.

ამიტომაც შეურაცხყოფს არა მხოლოდ ხატს, არამედ მთლიანად ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას. თუ ამის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს გავითვალისწინებთ (მხარდამჭერთა გამოსვლები, საინფორმაციო აჟიოტაჟი, საპატრიარქოს განცხადება ხატის არაკანონიკურად აღიარებაზე, პარლამენტის გადაწყვეტილება „ხატმებრძოლეობის“ წინააღმდეგ კანონის შემუშავებაზე...), მიზანს ნაწილობრივ აღწევს კიდეც.

გთხოვთ, სტალინისტად ნუ მომნათლავთ: გვინდა თუ არ გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, მისი ნაკეთები საქმეებიდან გამომდინარე, იოსებ სტალინი არის მსოფლიო მნიშვნელობის ურყევი ავტორიტეტი. თუ ამ ავტორიტეტის გაცამტვერებას შევძლებთ, მაშინ ნებისმიერი ვიგინდარას გაბელადება-გაღმერთებას წინ ვეღარაფერი დაუდგება. უკვე თითქმის შვიდი ათეული წელია სტალინის სახელის ყველა გრუნვაში ტრიალი სწორედ ამას ემსახურება. მიზანი უმარტივესია – თუ სტალინი მხოლოდ ერთი ვინმე ვიგინდარა მკვლელია და მეტი არაფერი, რატომ არ შეიძლება გავანაპიროთ, მაგალითად, დღევანდელი ავტორიტეტი ივანიშვილი.ასეთი მცდელობები ხომ საბჭოთა და შემდეგ თავისუფალი საქართველოს ისტორიასაც შესანიშნავად ახსოვს – კომუნისტური რეჟიმი რელიგიური მიმდინარეობების ლენინიზმით ჩანაცვლებას ცდილობდა, ხრუშჩოვი – სტალინის კვალის წაშლას, სააკაშვილი – შევარდნაძის გატრიზავებას...

ახლაც იგივე ხდება – ნატა ფერაძის „პატრიოტიზმი“ და ნეტარი მატრონას ხატი მხოლოდ სატყუარაა გონებაჩლუნგებისთვის. დიადი მიზანი რეალური ავტორიტეტების განადგურება და მათ ადგილას მიშა სააკაშვილის, მამუკა ხაზარაძის ან, სულაც, ლევან ხაზეიშვილის აღზევებაა!

**გეთანხმებით, მართლაც აბსოლუტური წარუმატებლობისთვის განწირული „ოპერაციაა“, მაგრამ წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო – ნაცებს სხვა აღარაფერი დარჩენიათ.**

**გულსატკენია, რომ ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი ამ გულისამრევ პრიმიტივიზმს ვერ ხედავს, ან თვალს არიდებს; ხელისუფლება კი ზოგჯერ იძულებულია, თვალებზე ხელი აიფაროს, ან ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინოს.**



**თეიმურაზ ქორიძე**

15. 01. 2024

# ნათლისღება – წყალკურთხევა

## გაცხადება უფლისა და ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

**19 იანვარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უდიდეს საუფლო დღესასწაულს – წყალკურთხევას, ნათლისღებას ზეიმობს, 20 იანვარს – წმიდისა დიდებულისა იოანე ნათლისმცემლის კრებას.**

მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ კაცობრიობის ცოდვები იტვირთა და „ხატი მონისა“ მიიღო ნათლისმცემლის ხელით, იორდანეშიც მოინათლა, ამით მან ნათლისღების აუცილებლობა ასწავლა ყველას. სწორედ ამ დროს ცა გაიხსნა და სიწმინდის, მოკრძალებისა და ერთგულების სიმბოლო – მტრედის სახით – სულიწმინდის მადლი (სულიწმინდა) მათზე გადმოვიდა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავი“... მამის ხმაც გაისმა – მაცხოვრის ღვთაებრიობა წმინდა სამების გაცხადებამ დაამოწმა.



ნიშანდობლივია, ისიც რომ იესო ქრისტე წყლიდან გამოსვლის შემდეგ იორდანეს უდაბნოში განმარტოვდა, რათა ლოცვითა და მარხვით წინასაუკუნეთა მიერ მისთვის განსაზღვრული საქმისთვის – კაცობრიობის ხსნისთვის მომზადებულიყო. 40 დღე და ღამე გაატარა მან ამ ველურ ადგილებში, სადაც მაცდური ეშმაკი დაამარცხა და სულიერად ძლიერი, მოწაფეებისა და ხალხის თანხლებით დაბრუნდა ყოვლადწმინდა დედასთან...

იესო ქრისტემ იგრძნო, რომ ამ ქვეყნად მისი მოვლინება ზეციური მამის განგებით მოხდა, რომ ის მამის ნების აღმსრულებელია...

**წყალკურთხევა (დიდი აიაზმა) დედაეკლესიამ ნათლისღების მწუხრზე დააწესა... ამ დროს უბრალო წყალი მღვდლის ლოცვით განიწმინდება და სასწაულებრივ ძალას იძენს!**

**გიული ლიპარტია**

# მჯღაბნელები

**ვფიქრობდი, ამ გულისტკივილისთვის, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკისთვის“ დაწერილ წერილში გამოვთქვი, სათაურად მიმეცა სიტყვები დიდი აკაკის ლექსიდან – „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“... სხვათა შორის ჩვენი სამშობლოს ჰიმნიც ამ სიტყვებით იწყება, მაგრამ ვანდალებსა და მკრეხელებს, რომელთა ნამოქმედარიც იმ დონის აღშფოთებას იწვევს, რომ ამ წმინდა სიტყვებს ვერ დავხარჯავდი მათი ნამოქმედარის „შეფასებისთვის“ და უბრალოდ „მჯღაბნელები“ დავარქვი.**



მთელი საქართველო თუ არა, მართლმადიდებელ ქრისტიანთა უმეტესობა ნამდვილად შეძრა იმ მკრეხელურმა ქმედებამ, რომელიც „ხატმმუსვრელთა“ და „ხატწამბიწველთა“ მიმდევარმა, სამოქალაქო აქტივისტად მონათლულმა, ვინმე ნატა ფერაძემ ჩაიდინა. ეს მიზანმიმართული ქმედებაა დედაეკლესიის წინააღმდეგ და წაქეზებულია იმ ჯგუფების მხრიდან, რომლებსაც ისე ეშინიათ ჩვენი საპატრიარქოს მზარდი რეიტინგის, როგორც სატანას ჯვრისა.

მათი მკრეხელური ქმედება (მხედველობაში მყავანან კოლექტიური ნატა ფერაძეები და მათი მფარველები), სასტიკად უნდა დაისაჯოს, მიღებული უნდა იქნას შესაბამისი კანონი პარლამენტის მიერ, რათა ეს აღარ განმეორდეს.

დასჯის ღირსნი არიან ის ვანდალებიც, რომლებიც საქართველოს დიდ ქალაქებში კულტურული ძეგლების, საცხოვრებელი სახლებისა თუ კერძო პირთა ეზო-კარის კედლებსა და ღობეებს საღებავებით აჭრელებენ, უწმაწურ სიტყვებსა და ათასგვარ მოწოდებებს აჯღაბნიან. ნუთუ მათი გაწმენდა სახელმწიფოს სერიოზული თანხა არ უჯდება? ამიტომაც უნდა დაჯარიმდნენ ამგვარი ქმედების ჩამდენი ვანდალები, რათა მათი ნამოქმედარის გაწმენდა-გადაღებვისთვის გამოყოფილი თანხა შეჭირვებულ ოჯახებს, ჩვენს პენსიონერებსა თუ ღატაკ ხალხს მოხმარდეს. მართლაც საშინლად გამოიყურება დედაქალაქის ცენტრალური ადგილები, კულტურული ძეგლები, შენობების ფასადები, რომ არაფერი ვთქვათ ქალაქის გარეუბნებზე, სადაც მჯღაბნელ-ვანდალებისთვის სასათბურე პირობებია შექმნილი.

როდესაც აკრძალულ ადგილზე სულ რამდენიმე წუთით გაჩერებულ მანქანებს, თუნდაც ისინი ფირმის დისტრიბუტორები იყვნენ და ხალხს ემსახურებოდნენ, უზარმაზარი თანხით აჯარიმებენ და კიდევ აპირებენ ჯარიმების გაზრდას, სამწუხაროა ის, რომ ქალაქის იერ-სახის შენარჩუნებაზე არავინ ფიქრობს.

მკრეხელ-ვანდალებმა, რომლებიც დაუსჯელობის სინდრომით არიან შეპყრობილნი, ქუჩებიდან ეკლესიებშიც შეაღწიეს. როდემდე ვითმინოთ?

**მალხაზ დოლიძე**





# 20 იანვარი – აზერბაიჯანელი ხალხის გლოვისა და ღირსების დღე



## 34 წელი გადის 20 იანვრის ტრაგედიიდან, რომელიც აზერბაიჯანელი ხალხის მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა, როგორც სისხლიანი იანვარი

**1990 წლის 19-20 იანვრის ღამეს, 11:30 საათზე, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ბაქოში შემოიჭრა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ნაწილი, რის შედეგადაც 147 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, 638 დაიჭრა და 841 კაცი კი უკანონოდ დააკავეს.**

ასევე ასობით ადამიანი გახდა დაუნდობელი ტანჯვა-წამების მსხვერპლი. სისხლიანმა ძლეტა-დარბევამ და ძარცვამ, რომელიც იმ დღეებში ბაქოში განხორციელდა, ასევე მოიცვა ქვეყნის მრავალი რეგიონი და ქალაქი. დაღუპულთა შორის აზერბაიჯანელებთან ერთად იყო 6 რუსი, 3 ებრაელი და 3 თათარი მოქალაქე, ასევე დაიღუპნენ ბავშვები, მოხუცები და ქალები...

საბჭოთა იმპერიის მიერ განხორციელებული ვანდალური აგრესიის მთავარი მიზანი იყო აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი სულის ჩახშობა და ბაქოში მასობრივი საპროტესტო აქციების აღკვეთა, რომლებიც მიმართული იყო სომხეთის პარლამენტის მთიანი ყარაბაღის სომხეთთან შეერთების შესახებ იმავე წლის 9 იანვრის გადაწყვეტილების წინააღმდეგ.



რესპუბლიკაში გამეფებული ქაოსისა და განუკითხაობის მეორე დღეს, რომელიც გამოწვეული იყო რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობის უნიათობითა და არაკომპეტენტურობით, მოსკოვში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლობაში გამართულ პრესკონფერენციაზე აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნულმა ლიდერმა ჰეიდარ ალიევმა მკაცრად დაგმო მომხდარი და მას დემოკრატიული ფასეულობებისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების წინააღმდეგ მიმართული აქცია უწოდა.

ამ სისხლიანმა ტრაგედიამ, ასაკისა და პროფესიის მიუხედავად, გააერთიანა აზერბაიჯანში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელი, განურჩევლად ასაკისა, პროფესიისა და პოლიტიკური შეხედულებისა. ეს ერთიანობა გახლდათ სახალხო პროტესტი ვანდალური აქტის წინააღმდეგ, რომელიც არ ჯდებოდა არცერთ პოლიტიკურ, იურიდიულ თუ ადამიანურ ნორმებში. აზერბაიჯანში მოულოდნელად შემოჭრილი საბჭოთა ჯარების მიერ ჩადენილმა სამხედრო-პოლიტიკურმა დანაშაულმა გამოიწვია სრული უნდობლობა და სიძულვილი ყოფილი საბჭოთა იმპერიის მიმართ...

გავიდა წლები და აზერბაიჯანელი ხალხი კვლავ გაერთიანდა და ერთ მუშტად შეიკრა. სიმტკიცე, რომელიც გამოვლინდა 44-დღიანი ომის შედეგად მიღწეულ ბრწყინვალე გამარჯვებაში, გახლდათ საყოველთაო ერთიანობის გამოვლინება, რომელიც გამსჭვალული იყო ხალხის უსაზღვრო ნდობით თავისი სახელმწიფოსადმი, ტრიუმფალური არმიისა და ქვეყნის მთავარსარდლის მიმართ!

ყოველწლიურად 20 იანვარს ასიათასობით ადამიანი იკრიბება მოწამეთა პანთეონში, რომელიც საკრალურ სივრცედ იქცა აზერბაიჯანელთათვის, აქ ტკივილით და სიყვარულით იხსენებენ აზერბაიჯანის თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა სულებს...

**აზერბაიჯანის სახელმწიფო მთარგმნელობითი ცენტრი**

## მიროსლავ რადაჩოვსკი: უკრაინაში ომი არის აშშ-ის და მისი გლობალური ინტერესების პრობლემა...



**ევროკავშირი ამერიკის შეერთებული შტატების ვასალია,** – ამის შესახებ სლოვაკმა ევროპარლამენტარმა **მიროსლავ რადაჩოვსკიმ** ევროპარლამენტში გამოსვლისას განაცხადა.

მისივე თქმით, უკრაინაში ომი არის ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი გლობალური ინტერესების პრობლემა.

**„მოდით, შევწყვიტოთ სლავების მკვლელობის მხარდაჭერა, რადგან თუ არ გაჩერდებით, შეიძლება მოხდეს ის, რომ ჩვენ, სლავები გავერთიანდებით, ძმა ძმასთან. მე მჯერა, ერთ დღესაც ჩვენ გავერთიანდებით და დასავლეთ ევროპას მდელოდ ვაქცევთ, ტატრების მთებიდან ლა მანშამდე. უკრაინაში ომი არის ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი გლობალური ინტერესების პრობლემა. ევროკავშირი კი ამერიკის შეერთებული შტატების ვასალია“,** – განაცხადა რადაჩოვსკიმ.

მიროსლავ რადაჩოვსკი წარსულში მოსამართლე იყო, ამჟამად ის ევროპარლამენტის წევრია. ასევე, როგორც ცნობილია, რადაჩოვსკი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს.

## ვოლოდიმირ ზელენსკი: მამაკაცს თუ სამობილიზაციო ასაკი აქვს, უკრაინაში უნდა იმყოფებოდეს!

**უკრაინას ყოველთვის აკლია ხალხი ფრონტზე,** – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე განაცხადა.




მობილიზაციაზე საუბრისას ზელენსკი უცხოეთში მყოფი უკრაინელი მამაკაცების საკითხსაც შეეხო.

**„უკრაინის კანონმდებლობის თანახმად, მამაკაცს თუ აქვს ასაკი, რომ მობილიზაციის დროს გამოცხადდეს ომში, მაშინ ის უკრაინაში უნდა იმყოფებოდეს. ეს არის ფაქტი. შემდეგ ან იბრძოლებს, ან იმუშავებს. ჩვენ ომში ვართ, ამიტომ ან მუშაობ, ან იბრძვი, რადგან ერთი სამხედროს ხელფასი ექვსი-რვა ადამიანის გადასახდელია“,** – აღნიშნა ზელენსკიმ.

მან სამხედროების ანაზღაურებაზე საუბრისას განაცხადა, რომ დასავლელი პარტნიორების ფინანსური მხარდაჭერა არ არის მიმართული უკრაინელი სამხედროების ხელფასების უზრუნველსაყოფად და მას ხალხის გადასახადებიდან იხდიან.

## პეკინმა ზელენსკისა და ჩინეთის პრემიერის შეხვედრის გამართვაზე უარი თქვა...

**ოფიციალურმა პეკინმა კიევს დავოსში ვოლოდიმირ ზელენსკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის, ლი ციანის შეხვედრის გამართვაზე უარი უთხრა.**

დავოსის ეკონომიკური ფორუმის დაწყებამდე უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელი ანდრეი ერმაკი საუბრობდა იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩინეთის ჩართვა ზელენსკის „მშვიდობის ფორმულის“ გარშემო მიმდინარე მოლაპარაკებებში, და მიანიშნებდა, რომ ზელენსკის ასეთი შეხვედრის გამართვის შესაძლებლობა ექნება.

თუმცა, როგორც Politico-ს თეთრი სახლის მაღალჩინოსნებმა განუცხადეს, ჩინურმა მხარემ უარი თქვა რაიმე სახის შეხვედრებზე, მას შემდეგ რაც მოსკოვმა პეკინს მოუწოდა, შეეწყვიტა დიპლომატიური კონტაქტები უკრაინასთან.

Politico-ს მტკიცებით, ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ჩინეთი არ აპირებს უკრაინაში ომის დასასრულებლად მოქმედებას და რუსეთის მხარეს დგება. თავის მხრივ, უკრაინის პრეზიდენტმა დავოსში შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ლი ციანთან შეხვედრას არ გეგმავდა, ვინაიდან ის ჩინეთის ლიდერი არაა.

**„არსებობს ჩინეთის პრემიერი – მაშინ მას ჩვენი პრემიერი შეხვდება. მე სიამოვნებით შევხვდებოდი ჩინეთის ლიდერს. რამდენადაც ვიცი, გადაწყვეტილებებს სი ძინპინი იღებს, ხოლო უკრაინაში გადაწყვეტილებებს მე ვიღებ... მე არ მჭირდება ნებისმიერი დიალოგები, მე მჭირდება გადაწყვეტილებების მიმღები ლიდერებისგან გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები“,** – აღნიშნა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

## პაკისტანმა ირანს დასცხო

**პაკისტანმა ირანზე სარაკეტო იერიში მიიტანა. „ბიბისის“ ცნობით, ინფორმაციას ამის შესახებ თავად პაკისტანი ავრცელებს.**

სამიზნე „ტერორისტების თავშესაფარი“ იყო, ხოლო ირანული მედიის ინფორმაციით, თავდასხმის შედეგად სამი ქალი და ოთხი ბავშვი დაიღუპა. მანამდე ირანულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ აფეთქების ხმა პაკისტანის საზღვართან, ქალაქ სარავანთან გაისმა, რაც დაადასტურა პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და თქვა, რომ დაზვერვაზე დაფუძნებული ოპერაციის დროს რამდენიმე ტერორისტი მოკლეს. შეგახსენებთ, ირანმა დაარღვია პაკისტანის საჰაერო სივრცე, რის შედეგად ორი ბავშვი დაიღუპა. პაკისტანმა განაცხადა, რომ ირანთან ყველა მაღალი დონის დიპლომატიურ ურთიერთობას შეაჩერებდა.



## კახა კალაძე:
# ქვეყანაში კვალიფიციური მუშახელის პრობლემაა!



თბილისის მერმა **კახა კალაძემ** მედიასთან შესაბამისი კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ წერეთლის გამზირზე დათქმულ ვადაში – იანვრის ბოლოს საგზაო მოძრაობა სრულად აღდგება.

**„მესმის, რომ მცირე დროა დარჩენილი, მაგრამ იანვრის ბოლოს მოძრაობა ორმხრივად აღდგება, ეს ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია. არაერთი განცხადება გავაკეთეთ ამასთან დაკავშირებით, დათქმულ ვადებში დასრულდება მიმდინარე სამუშაოები“.**

**თბილისის მერის თქმით, ქვეყანაში კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობაა, რის გამოც მასშტაბური პროექტების განხორციელებისას მათი მხრიდან ნაკისრი ვალდებულებები ხშირად ირღვევა.**

**„სამწუხაროა, რომ კონტრაქტორმა კომპანიებმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულეს. ეს არ არის პირველი შემთხვევა და ეს მხოლოდ მერიას არ ეხება. ზოგადად, პრობლემაა კვალიფიციური მუშახელის. გარკვეული დრო დასჭირდება, რომ ამ მიმართულებით განვვითარდეთ. ასეთი მასშტაბის პროექტების განხორციელებისას კონტრაქტორ კომპანიებს ხშირად აქვთ ხარვეზები, პროცესში უამრავი ჯარიმა იწერება. ჩვენ ვითხოვთ უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ხარისხს და დათქმული ვადების დაცვას“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

# მამუკა ხაზარაძემ ჩემი ვიდეო მიჭრა-მოჭრა და იმის ერთი ადგილიც არ ეყო, ის ბოლომდე განეთავსებინა!

დედაქალაქის მერმა ხაზარაძის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ვიდეოსა და განცხადებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას უპასუხა, რომლის თანახმადაც, „ლელოს“ ლიდერი თბილისის მერს სასამართლოში უჩივის.

**„ხაზარაძის პიროვნება მაგაშიც იკვეთება, თუ რა ადამიანია და როგორი წარსულის მქონე პიროვნებაა. ჩემი ვიდეო განათავსა და ერთი ადგილიც არ ჰქონდა, ის ბოლომდე დაედო. მიჭრა-მოჭრა და ისეთი ვიდეო გამოაქვეყნა. ყველამ ხომ კარგად იცის, რომელი ვიდეოა? აღნიშნულ ვიდეოში ვსაუბრობ, რა კარგი საქმეები კეთდებოდა, ასევე, იმ პრობლემებზე, გულისტკივილსა და მძიმე ფაქტებზე, რომლებიც მაშინ ხდებოდა. ვიდეოს მეორე ნაწილი მოჭრა და მხოლოდ პირველი განათავსა. აქ იკვეთება ყველაფერი და საზოგადოება კარგად ხედავს, ვინ არის მამუკა ხაზარაძე“,** – განაცხადა **კახა კალაძემ.**

თბილისის მერის განცხადებით, საზოგადოებამ კარგად იცის, ვინ არის პოლიტიკური პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე და როგორი წარსული აქვს.

# ახალი ავტოსადგომი და განახლებული ინფრასტრუქტურა ქუთაისის აეროპორტში

**ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში დამატებით 500 ავტომობილზე გათვლილი ახალი ავტოსადგომი და წყალარინების სისტემა მოეწყო,** – ინფორმაციას საქართველოს აეროპორტების გაერთიანება ავრცელებს.

მათივე ცნობით, ჯამში დაიგო 20 000 $მ^2$ ასფალტი, დაპროექტდა და მოეწყო საავტომობილო გზები, საფეხმავლო ბილიკები და საპარკინგე სისტემა. ასევე, გაკეთდა ახალი სანიაღვრე კანალიზაცია და მოეწყო დეკორატიული ღობე. თვის ბოლომდე სრულად მოეწყობა ტერიტორიის განათების სისტემა.

ავტოსადგომის გაფართოებით გრძელდება ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ლანდშაფტის მოწყობა, არსებული, 200 ავტომობილზე გათვლილი ავტოსადგომი 700-მდე გაიზარდა. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს თანამედროვე ავტოსადგომი აქვს, რომელიც ყველა საერთაშორისო სტანდარტს აკმაყოფილებს.

## აშშ-ის დახმარება ჯანდაცვაში დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დღემდე

# დამცავი ფარი

(მეორე გვერდიდან)

**ანტიბიოტიკორეზისტენტული პათოგენების გამოვლენისა და კონტროლის გაუმჯობესება:** საქართველოსა და მთელს რეგიონში ანტიმიკრობული რეზისტენტობის (AMR) საფრთხის აღმოსაფხვრელად აუცილებელია ხარისხით უზრუნველყოფილი ლაბორატორიული დიაგნოსტიკის არსებობა. როგორც ცნობილია, AMR-ის გაჩენა-გავრცელება (პათოგენების უნარი, დროთა განმავლობაში შეიცვალოს და დაამარცხოს მედიკამენტები, რომლებიც შექმნილია მათ მოსაკლავად), ჯანმრთელობის უსაფრთხოებისთვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს. 2023 წლის მაისში აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) მხარდაჭერით, რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევის ცენტრის (GBL-LCPHR) გენერალურმა ბაქტერიოლოგიურმა ლაბორატორიამ მოიპოვა საერთაშორისო აკრედიტაცია, რათა განახორციელოს ხარისხის გარე უზრუნველყოფის (EQA) პროვაიდერის როლი AMR-ის გამოსავლენად საქართველოში, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის (EECA) რეგიონში.

**საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუშაკების გაძლიერება:** 2022 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დახმარება სთხოვა CDC-ს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუშაკების გაძლიერების სტრატეგიის შემუშავებაში. სტრატეგიაზე მუშაობა სავარაუდოდ, 2024 წლის დასაწყისში დასრულდება, ხოლო მისი განხორციელება მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში იგეგმება.

**– სპეციალისტები ლუგარის სახელობის ლაბორატორიას ამერიკულ-ქართული თანამშრომლობის ერთ–ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად ასახელებენ. შესაძლოა, მოქალაქეები ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერ აღიქვამდნენ მისი არსებობის მნიშვნელობას, თუმცა პანდემიამ იგი საკმაოდ ნათლად გამოკვეთა, როდესაც ლუგარის ლაბორატორია კოვიდთან ბრძოლაში ერთ–ერთ საკვანძო ცენტრს წარმოადგენდა. თქვენ როგორ ხედავთ მის მნიშვნელობას და როგორ ფიქრობთ, მაინც რატომ არის ის ამდენი წლის განმავლობაში რუსული შეთქმულების თეორიების სამიზნე?**

– თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტომ (DTRA) რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევის ცენტრის მშენებლობა 2011 წელს დაასრულა. 2014 წლიდან, მას შემდეგ, რაც ცენტრი საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის (NCDC)-ს მფლობელობაში გადავიდა, ლუგარის ლაბორატორია აგრძელებს განვითარებასა და ადამიანთა სიცოცხლეების გადარჩენას. COVID-19-ის პანდემიის დროს დიაგნოსტიკური ტესტირებისა და მართვის კუთხით ლუგარის ცენტრის ეფექტურმა მუშაობამ, მათ შორის კონტაქტების მოკვლევამ, იზოლაციის რეკომენდაციებმა და დადასტურებული შემთხვევების მონიტორინგმა, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაწესებულებებს სწრაფი რეაგირების საშუალება მისცა.

ლუგარის ცენტრმა ტექნიკური ექსპერტიზა საქართველოს სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას გაუზიარა, რათა დახმარებოდნენ მეზობელ ქვეყნებს (სომხეთს, აზერბაიჯანს) COVID-19-ის დაძლევაში.

ლუგარის ცენტრი აგრძელებს საქართველოს მასშტაბით დაავადებათა პრევენციასა და მართვაზე მომუშავე ლაბორატორიების მხარდაჭერას. ამასთან, ლუგარის ცენტრი მსოფლიო ლიდერია ანტიმიკრობული რეზისტენტობის იდენტიფიცირების საკითხში, რომელიც ჯანმო-ს მიერ გლობალურ საფრთხედ არის გამოცხადებული.

ლუგარის ცენტრის მხარდაჭერით ხორციელდება გენომური სექვენირების პროცესი, როდესაც ხდება ორგანიზმიდან ან ვირუსიდან აღებული გენეტიკური მასალის წაკითხვა. ნიმუშებში არსებული თანმიმდევრობის შედარებით მეცნიერებს შეუძლიათ თვალი მიადევნონ ვირუსის გავრცელებას, ვირუსის ცვლილებებს და აგრეთვე იმას, თუ რა ზეგავლენას ახდენს ეს ცვლილებები საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, ყოველივე ამან გააძლიერა ინფექციის ეპიდაფეთქებაზე პასუხი საქართველოში.

COVID-19-ის გარდა, ლუგარის ცენტრმა საქართველოში C ჰეპატიტის პრევალენტობა 2 პროცენტამდე შეამცირა და ხელი შეუწყო B ჰეპატიტის კონტროლის კუთხით ევროპული სამიზნე მაჩვენებლის მიღწევას, რაც დედიდან ბავშვზე B ჰეპატიტის გადაცემის ელიმინაციას გულისხმობს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფესიონალებისა და მეცნიერების შრომისმოყვარეობის წყალობით ლუგარის ცენტრი წარმოადგენს თანამედროვე დაწესებულებას, რომელიც ძირითადი ოპერატიული ღონისძიებების საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. მან გააუმჯობესა, მაგალითად, ნიმუშების შენახვის უსაფრთხოება ქართულ სამედიცინო კვლევებში გამოსაყენებლად. სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით ცენტრმა შექმნა ლაბორატორიული მარაგების შესყიდვის მდგრადი სისტემა, პერსონალის პროფესიონალიზმის განვითარების მიზნით კი ლუგარის ცენტრში დაარსებული ტრენინგები ჩაუტარდა ქართველ ლაბორანტებს, ექიმებსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტებს.

დეზინფორმაცია ზიანს აყენებს ლუგარის ცენტრის პროფესიონალების, საქართველოს მთავრობისა და ჯანდაცვის მუშაკების თავდადებას, რომლებიც მშვიდობიანად ემსახურებიან ქართველებისა და გლობალური საზოგადოების საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტერესებს.

**– უკვე ვისაუბრეთ დახმარების რამდენიმე მიმართულებაზე. მაინც როგორ ხდება კონკრეტული მიმართულებების დიფერენცირება მხარდაჭერის გადაწყვეტილების მიღებისას და შემდეგ როგორ ხორციელდება მონიტორინგი?**

– DTRA-მ დახმარება გაუწია ქართულ საკუთრებაში არსებულ და ქართული მხარის მიერ ოპერირებულ 21 ლაბორატორიას, რომელიც საქართველოში ცხოველთა და ადამიანთა დაავადებების ზედამხედველობის ეროვნულ ქსელს წარმოადგენს. ამ ქსელს, რომელიც დაავადებათა გავრცელებას აკონტროლებს, საქართველოს მთავრობა 2018 წლიდან წარმატებით აფინანსებს. ჯანდაცვის სამინისტროსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინსტიტუტებთან (როგორიცაა NCDC) თანამშრომლობით, აშშ-ის მთავრობა აგრძელებს პარტნიორობას საქართველოს ბიოუსაფრთხოებისა და ბიოზედამხედველობის გასაძლიერებლად. ბიოუსაფრთხოების კუთხით გაწეული ძალისხმევა ეხმარება საქართველოს მთავრობას, უზრუნველყოს, რომ ლაბორატორიებში მუშაობდეს მომზადებული პერსონალი, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურით საერთაშორისო გაიდლაინების შესასრულებლად. ბიოზედამხედველობა აძლიერებს საქართველოს უნარს შეამციროს ბიოლოგიური საფრთხეები, განსაკუთრებით დაავადებების ეპიდაფეთქებები.

ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე აშშ და საქართველო თანამშრომლობენ მონიტორინგის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით – საქართველოსა და მთელს რეგიონში ისეთ ენდემურ დაავადებებზე, როგორიცაა, მაგალითად, შავი ჭირი. ამ ძლიერი პარტნიორობის წყალობით საქართველოს მოსახლეობა დიდ სარგებელს იღებს ჯანდაცვის შედეგებით, თავად საქართველო კი აღიარებულია მსოფლიოში თავისი ტექნიკური ლიდერობითა და პროექტების მენეჯმენტით. ამჟამად 11 კვლევიდან სამში აშშ-ის მთავრობა პარტნიორობს საქართველოსთან. საქართველოს ინსტიტუტებმა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (NCDC), სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიამ (SLA), სურსათის ეროვნულმა სააგენტომ (NFA) მიმართეს აშშ-ის მთავრობას დაფინანსებისთვის და საერთაშორისო პარტნიორებთან მუშაობისთვის.

### ◉ ინფორმაცია თემაში

**ირაკლი ღარიბაშვილი სიტყვით გამოვიდა დავოსში, პანელურ დისკუსიაზე, რომლის მთავარი თემა საკვებში ტყვიის შემცველობით გამოწვეული პრობლემები და ბავშვებისთვის რისკები იყო.**

**საქართველოს მთავრობის მიერ გაწეული სამუშაო ამ მიმართულებით პოზიტიურად შეაფასა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა სამანტა პაუერმა.**

**მან საქართველოს პრემიერ-მინისტრს ტყვიით დაბინძურების მკურნალობისა და პრევენციისთვის გაწეული ძალისხმევისთვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა. ირაკლი ღარიბაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა ტყვიის მოწამვლის საფრთხეების გასანეიტრალებლად მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე, კვლევებსა და სტატისტიკაზე და ამ მიმართულებით აშშ-ის მხრიდან უდიდეს დახმარებაზე.**

გაგრძელება. დასაწყისი №6

(დასასრული მომდევნო ნომერში)



ხვალ ვაკეში

# „კლერმონი“ თბილისშია!

**20 იანვარს „შავი ლომი“ მისთვის პირველი, ისტორიული ჩელენჯ თასის ჯგუფური ეტაპის დასკვნით შეხვედრას გამართავს.**

ქართული ფრეჩაიზის მეტოქე 113 წლის ფრანგული გრანდი „კლარმონი“ იქნება. „მიხეილ მესხზე“ შეხვედრა 17 საათზეა დანიშნული. გულშემატკივრისთვის სტადიონზე საზეიმო ღონისძიებები 13 საათიდან დაიწყება და მატჩის დასრულების შემდეგ გაგრძელდება. იქნება კონცერტები და სიურპრიზები.

### კლერმონი – გრანდი საფრანგეთიდან

კლუბი 1911 წელს მარსელ მიშლენმა დააარსა, რომელიც საბურავების მწარმოებელი ფირმის – Michelin-ის დამფუძნებლის, ანდრე მიშლენის შვილი იყო. რაგბი მულტიფუნქციური სპორტული კლუბის ერთ-ერთ სექციას წარმოადგენდა. კლუბს 1919 წლამდე AS Michelin-ი ეწოდებოდა, თუმცა იურიდიული ვალდებულებებიდან გამომდინარე ის AS Montferrandaise-დ გადაკეთდა.

შეიძლება ითქვას, რომ „კლერმონი“ მსოფლიოში ყველაზე უიღბლო გუნდია. „ვულკანებს“ ყველაზე მეტი ფინალი აქვთ წაგებული – ჯამში 24. ისინი 14-ჯერ იყვნენ ტოპ 14-ის (და მისი წინამორბედის) ფინალში და გაიმარჯვეს მხოლოდ ორში – 2010 და 2017 წლებში. სამჯერ წააგეს ჩემპიონთა თასის (2013, 2015, 2017) და ერთხელ ჩელენჯ თასის (2004) ფინალი, თუმცა სამჯერ გახდნენ ჩელენჯ თასის გამარჯვებულები – (1999, 2007 და 2019 წლები), რაც სარეკორდო მაჩვენებელია. „კლერმონის“ მსგავსად 3-ჯერ აქვს მოგებული ჩელენჯ თასი ინგლისურ „ჰარლიქუინსს“.

ადრეულ პერიოდში „კლერმონმა“ 3-ჯერ მოიგო (1938, 1976, 1986) შიდა ტურნირი Challenge Yves du Manoir-ი და 6-ჯერ დათმო (1935, 1957, 1972, 1979, 1985, 1994) ფინალი. 2001 წელს გახდა საფრანგეთის თასის მფლობელი, ორჯერ კი ფინალში (1945, 1947) დამარცხდა.

დაარსების დღიდან გუნდი საშინაო შეხვედრებს „სტად მარსელ-მიშლენზე“ ატარებს, რომელიც რამდენჯერმე განახლდა და ამჟამად 19 357 მაყურებელს იტევს. მისი სათამაშო ფორმის ფერებია ყვითელი და ლურჯი.

აღსანიშნავია, რომ „კლერმონის“ ბოლო 25 წლის წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ქართველ ლეგიონერებს. პირველი გუნდის რიგებში არაერთ სახელოვან ბორჯღალოსანს უთამაშია. ესენი არიან: დავით აშვეთია, ლევან ცაბაძე, გოდერძი შველიძე, დავით ზირაქაშვილი, დუდუ ქუბრიაშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, ბექა კაკაბაძე, ვიტო კოლელიშვილი, ოთარ გიორგაძე და გიორგი ძმანაშვილი (რომელიც ახლაც ამ გუნდის წევრია). „კლერმონის“ შერკინების მწვრთნელი იყო ზირაქაშვილი, კოლელიშვილი კი 18-წლამდელთა გუნდს ავარჯიშებს.

მოცემული მომენტისთვის, „კლერმონს“ ტოპ 14-ში 26 ქულა აქვს (5 მოგება, 1 ფრე და 6 მარცხი) და მე-9 ადგილზეა, ჩელენჯ თასის მესამე ჯგუფში კი, ორი მოგებითა და 10 ქულით, სამი ტურის შემდეგ მესამე ადგილს იკავებს. „კლერმონმა“ ბონუსით დაამარცხა „ედინბურგი“ (31:18) და „სქარლეთსი“ (38:17), )გლოსტერთან“ კი სტუმრად 17:28 დამარცხდა.

მოვლენის შემდეგ



## ზურაბ ცინცაძე:

# მხოლოდ ჩემს საქმეს ვაკეთებდი და გამარჯვება მინდოდა

**საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების მეკარემ ზურაბ ცინცაძემ ევროპის ჩემპიონატზე ბოსნიასთან გამარჯვების შემდეგ ისაუბრა. აღსანიშნავია, რომ ის ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.**

„შვედეთთან მატჩში პირველად, როდესაც გულშემატკივრებმა ტაში დამიკრეს, გაოცებული ვიყავი და დიდი სურვილი მქონდა, კიდევ ერთხელ კარგად მეთამაშა. ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ. ტურნირის ინდივიდუალური ჯილდოთი დასრულება კიდევ უფრო გასახარია.

**საგოლე პასი? გავრბოდი და დავინახე, რომ გოლის გატანის შესაძლებლობა მქონდა, მაგრამ შემდეგ პასი გავაკეთე. ეს ჩემს კლუბში, საქართველოში უკვე გაკეთებული მქონდა. პენალტების მოგერიება? მხოლოდ ჩემს საქმეს ვაკეთებდი. მინდოდა გამარჯვება და ვიცოდი, რომ შემეძლო ამის გაკეთება. დაუჯერებელი გრძნობაა“,** – თქვა ცინცაძემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა სადებიუტო ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფში 1 მოგებით და 2 წაგებით მესამე ადგილი დაიკავა. ქართველმა ხელბურთელებმა ნიდერლანდებსა (29:34) და შვედეთთან (26:42) წააგეს, ხოლო ბოსნია დაამარცხეს (22:19).

კორტზე

# ბასილაშვილი მერვედფინალშია

**ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა სანდერლენდში მიმდინარე ტურნირზე (M25) პირველი გამარჯვება მოიპოვა. საქართველოს**



**ყოფილი ნომერ პირველი ჩოგანი ბრიტანელ პატრიკ ფოლის დაუპირისპირდა და 2 სეტში 7:6, 6:4 გაიმარჯვა.**

28 წლის სპორტსმენს მასპინძლის დასამარცხებლად საათი და 45 წუთი ეყო. შედარებით დაძაბული პირველი სეტი გამოდგა, რომელიც ბასილაშვილმა ტაიბრეიკზე 7-2 მოიგო.

ქართველი მერვედფინალშია გასული და მეტოქეს ელოდება, რომელიც იტალიელ ფაუსტო ტობაკოსა და ფრანგ დან ედედს შორის გამარჯვებული იქნება.

ლეგიონერი

# ბითაძის ძირითადი და ორმაგი დუბლი

**ქართველ გულშემატკივართა გადმოსახედიდან საინტერესო რამ მოხდა ორლანდოსა და ატლანტას მატჩში. ჯორჯიის დედაქალაქში გამართული აღნიშნული შეხვედრის სასტარტო ხუთეულში ქართველი ცენტრი იმყოფებოდა, მისი კონკურენტი ვენდელ კარტერი კი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ მწვრთნელმა ორივე თანაბარი დროით: 24-24 წუთი ათამაშა.**

ორლანდოს თამაშებში ჩვენ, რა თქმა უნდა, **გოგა ბითაძის** ამბები გვაინტერესებს და ამ ხაზს რომ მივყვებით, ეს ფაქტი ამიტომ იყო გამორჩეული. როგორც ჩანს, კარტერმა, რომელსაც ხუთეულში ადგილი ქართველმა წაართვა, მის დაბრუნებაზე დიდადაა ორიენტირებული და აღნიშნულ მატჩში ძალიან მოინდომა, რის გამოც სათადარიგოდ მყოფმა ექსტრაწუთები მოიპოვა და მოედანზე ჩვეულებრივ სასტარტოზე მეტ ხანს



დარჩა, მისი მოწადინება კი შედეგზე აისახა – კარტერმა სეზონში საუკეთესო შედეგი – 18 ქულა დადო, რასაც 5 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაყოლა.

ბითაძემ აღნიშნულ 24 წუთში ორმაგ დუბლს უწია. ქართველმა ცენტრმა 10 ქულა, 10 მოხსნა, 3 პასი, 2 დაფარება და 1 ჩაჭრა მიითვალა. გოგამ 7 ცდიდან 5 ორქულიანი ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა. სხვათა შორის, კარტერი სამქულიანების სროლით განთქმული ცენტრია. ამჯერად მან 4 ცდიდან 3 სამიანი მიითვალა.

სასტარტო ხუთეულისთვის ბრძოლა გრძელდება. ხუთეულში ბითაძე დგას, რომელსაც სათადარიგოთა სკამიდან კარტერი უტევს.

რაც შეეხება მატჩს, შეხვედრა ატლანტამ ბოლო წამზე, დეჯონტე მიურეის ორქულიანით მოიგო – 106:104.

# საფეხბურთო მოზაიკა

**„ნაპოლის“** მთავარმა მწვრთნელმა **ვალტერ მაძარიმ** Mediaset-ს მოკლე ინტერვიუ მისცა, რომელშიც **ხვიჩა კვარაცხელიაზეც** გააკეთა კომენტარი.

როგორც იტალიელმა სპეციალისტმა განაცხადა, კვარას მხოლოდ ძველი ბრწყინვალების დაბრუნება სჭირდება და შემდეგ ყველაფერი თავისთავად კარგად წარიმართება.

**„კვარამ უნდა დაიბრუნოს ის ბრწყინვალება, რაც ჰქონდა, მერე ყველაფერი თავისთავად მოვა. როგორც კი ის განიბლოკება, ყველაფერი კარგად იქნება, საკმარისია პატარა ნაპერწკალიც. იმედი მაქვს, რომ მსაჯები საუკეთესოდ შეასრულებენ თავიანთ საქმეს, მაგრამ ამაზე საუბარი არ მინდა“,** – თქვა მაძარიმ.

* * *

**პიუგ ვიჟიემ,** „ალ-იტიჰადის“ თავდამსხმელის, კარიმ ბენზემას ადვოკატმა, განაცხადა, რომ ფეხბურთელი საუდის არაბეთში მუქარებს იღებდა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჟერალდ დარმანინმა განაცხადა, რომ ფეხბურთელს კავშირი ჰქონდა ტერორისტულ ორგანიზაციასთან.

**„მინისტრის კომენტარებს სერიოზული შედეგები აქვს. კარიმ ბენზემა მუქარებს იღებს საუდის არაბეთში, სადაც ის მუშაობს, მას შემდეგ რაც მინისტრმა ტერორისტულ ორგანიზაციასთან მისი კავშირების შესახებ განაცხადა. ის სიძულვილის შემცველ შეტყობინებებს იღებს“,** – ციტირებს ადვოკატის სიტყვებს RMC Sport. მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბენზემამ საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. შეგახსენებთ, რომ ბენზემა საუდურ „ალ-იტიჰადში“ 2023 წლის ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. მიმდინარე სეზონში ფეხბურთელმა ყველა ტურნირზე 11 მატჩი ჩაატარა, რომელშიც ექვსი ბურთი გაიტანა და სამი საგოლე გადაცემა შეასრულა.

* * *



**„რომას“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიუ იტალიური კლუბიდან გათავისუფლებამდე ცოტა ხნით ადრე გუნდის რამდენიმე ფეხბურთელს დაუპირისპირდა,** – წერს Corriere dello Sport.

წყაროს ცნობით, სპეციალისტს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა კრის სმოლინგთან, ლორენცო პელეგრინისთან, რიკ კარსდორპთან, ლეონარდო სპინაცოლასთან და რენატუ სანჩესთან. აღნიშნულია, რომ მოურინიუს „რომადან“ წასვლა არა მხოლოდ კლუბის არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო მოხდა, არამედ გუნდში დაძაბულობის მიზეზითაც.

შეგახსენებთ, რომ ჟოზე მოურინიუს გათავისუფლების შესახებ კლუბმა 16 იანვარს გამოაცხადა, მთავარი მწვრთნელის პოსტი კი დანიელე დე როსიმ დაიკავა. მოურინიუ რომაულ კლუბს 2021 წლის ზაფხულიდან წვრთნიდა.

* * *

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** კამერუნელმა მეკარემ, **ანდრე ონანამ** აფრიკის თასზე გვიან ჩასვლაზე ისაუბრა.

**„კლუბსა და ეროვნულ გუნდს შორის არჩევანის გაკეთება მამასა და დედას შორის არჩევანის მსგავსია, მაგრამ ეროვნული ნაკრები ჩემთვის პირველ ადგილზეა, ამიტომ აქ ვარ. ხალხმა განაგრძოს ჩემი კრიტიკა. მიჩვეული ვარ. ვაკეთებ იმას, რაც კარგია ჩემი ქვეყნისთვის“,** – ციტირებს ონანას სიტყვებს ESPN.

შეგახსენებთ, რომ კამერუნის ნაკრების მეკარე „მანჩესტერ იუნაიტედში“ დარჩა 14 იანვარს „ტოტენჰემთან“ სათამაშოდ, შემდეგ კი კერძო თვითმფრინავით 5 ათას კილომეტრზე მეტი გაიარა, რათა დროულად ჩასულიყო 15 იანვარს გვინეასთან მატჩისთვის.

თვითმფრინავის ფრენა იამუსუკროში ნისლის გამო გადაიდო, ამიტომ ანდრემ დარჩენილი გზა მანქანით გაიარა და სტადიონზე თამაშის დაწყებამდე სამი საათით ადრე მივიდა, მაგრამ მატჩის საბოლოო განაცხადში ვერ მოხვდა.

კამერუნისა და გვინეის მატჩი C ჯგუფში 1:1 დასრულდა. კარში ფრანგული „ნიმის“ მეკარე ფაბრის ონდოა იდგა. შეგახსენებთ, რომ კამერუნელთა კაპიტანი, „ნაპოლის“ ნახევარმცველი ფრანკ ზამბო ანგისაა. მიმდინარე სეზონში ონანამ კლუბისა და ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ყველა ტურნირზე 33 მატჩი ჩაატარა, 48 გოლი გაუშვა. 11-ჯერ კი კარი „მშრალად“ შეინახა.

# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

### სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ 500 კვ. ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ახალციხის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** 500 კვ. ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილება

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ადიგენის, ვანისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტები

**საჯარო განხილვის ორგანიზატორი:** სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:** 2024 წლის **5 თებერვალი, 12:00 საათი,** ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფ. ვარხანის საჯარო სკოლის შენობა. 2024 წლის **5 თებერვალი, 15:00 საათი,** ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფ. ბენარას ადმინისტრაციული ერთეულის შენობა. 2024 წლის **6 თებერვალი, 10:30 საათი,** ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. საპრასიას ადმინისტრაციული ერთეულის შენობა. 2024 წლის **6 თებერვალი, 13:30 საათი,** ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ამაღლების ადმინისტრაციული ერთეულის შენობა. 2024 წლის **6 თებერვალი, 16:30 საათი,** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. პატრიკეთის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 6 თებერვლის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, 2024 წლის **8 იანვარს,** საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გზშ ანგარიშის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

## ბერძენი მაფიოზების მკვლელობაში ქართველებიც მონაწილეობდნენ...



**„ბერძნული მაფიის“ სამი ძლიერი წევრის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით ორი ქართველი დააკავეს,** – ამის შესახებ ინფორმაციას ბერძნული მედია ავრცელებს. მედია წერს, რომ დაკავებულები 29 და 39 წლის პირები არიან.

**საქმე ეხება იანის სკაფტურუს, ვასილი რუზეტისისა და მისი მარჯვენა ხელის, დიონისე მუზაკიტის მკვლელობას, ასევე მკვლელობის მცდელობას პიეირაში. პირველი მათგანი 2022 წელს აპრილში მოკლეს, საკუთარ აგარაკზე, მკვლელობის მომდევნო ორი შემთხვევა კი 2023 წლის ივნისში მოხდა. რაც შეეხება მკვლელობის მცდელობას, დანაშაული 2023 წლის ივლისით თარიღდება.**

ბერძნული გამოცემის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დანაშაულში მონაწილე ორი ქართველის გარდა კიდევ სამი პირის იდენტიფიცირება მოახდინეს. ისინი მაფიოზური ჯგუფის წევრები არიან. ერთი მათგანი სასჯელს უკვე იხდის საბერძნეთის ციხეში, ორმა მათგანმა კი ქვეყნიდან გაქცევა მოახერხა, მათზე ძებნა წითელი ცირკულარით არის გამოცხადებული. პოლიციის ცნობით, დაკავებულები და 3 იდენტიფიცირებული პირი დაქირავებული მკვლელები იყვნენ.

## ეგონათ, წიგნის ქურდი ქურდი არ იყო

**ფრანგული მედიის ცნობით, დააკავეს ქართველები, რომლებიც პარიზის, ლიონის, ვილნიუსისა და ვარშავის ბიბლიოთეკებიდან უნიკალურ გამოცემებს იპარავდნენ.**

მედიის ცნობით, ძარცვის ერთ-ერთი ფაქტი რამდენიმე დღის წინ, ჟენევის ბიბლიოთეკაში მოხდა, საიდანაც წაღებულია მე-19 საუკუნეში გამოცემული პუშკინის და ლერმონტოვის 9 უიშვიათესი წიგნი. **მათ ნაცვლად, თანამშრომლებს ადგილზე ორიგინალის ასლები დახვდათ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკისთვის მიყენებული ზარალი 650 000 ევროს აჭარბებს.**

**დაკავებულებს შორის ერთი ქართველი ქალი და კაცია, რომლებიც თანამზრახველთან ერთად ლატვიის ეროვნული ბიბლიოთეკიდან 10 000 ევროდ შეფასებული წიგნის მოპარვისთვის დააკავეს. დაკავებულს ჩხრეკისას ევროპის რამდენიმე ქვეყნის ბიბლიოთეკის ბარათი, საქართველოს მწერალთა კავშირის მოწმობა და ქართული პასპორტი აღმოაჩნდა. სავარაუდოდ, იგივე ჯგუფმა მოიპარა პუშკინის და გოგოლის ნამუშევრები ესტონეთშიც, ტარტუს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან.**

როგორც მედია წერს, სხვა მოპარული წიგნები, ახლა, სავარაუდოდ, მდიდარი რუსი კოლექციონერების ხელშია. სამართალდამცავების ინფორმაციით, წიგნები შავ ბაზარზე უპრეცედენტოდ მაღალ ფასად იყიდება და ძარცვის საერთაშორისო ქსელი რუსეთის დაკვეთით მოქმედებს.

## „შეშლილი არაადეკვატური სახე ჰქონდა... ის გარბის...“

დიდ დიღომში გარდაცვლილი 12 წლის გოგონას **ანა იანუშაიტიტეს** დედის **ნატო ხუტაშვილის** განცხადებით, მისი შვილის მკვლელის ფოტორობოტი თვითმხილველების ჩვენებითაა შედგენილი.

**„არის თვითმხილველი, რომელიც ამბობს რომ იმ ადგილიდან ამოდიოდა კაცი, რომელსაც იმ მომენტში შეშლილი არაადეკვატური სახე ჰქონდა. მერე ზუსტი დროის გაზომვით ის გარბის. გაქცევის მომენტიც მოჩანს, ჩემი მყარი ვარაუდით ეს არის ერთი და იგივე პიროვნება,“** – ამბობს ნატო ხუტაშვილი. როგორც ხუტაშვილი განმარტავს, აღნიშნული პიროვნების ფოტორობოტი საგამოძიებო უწყებამ რამდენიმე თვის წინ შეადგინა და ის საქმეში დევს.



უშანგი დალალიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი ქალბატონი, ღირსეული მეუღლე, დედა და ბებია, ყოველმხრივ დახვეწილი ადამიანი



## თინათინ ჭიჭინაძე

და თანაუგრძნობს ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს, შვილებს, შვილიშვილებს და მთელ სანათესაოს.

სრულიად საქართველოს რაჭის რეგიონის განვითარების ფონდი და რაჭის გადარჩენისა და განვითარების კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყებიან უკეთილშობილესი რაჭველი ქალბატონის

## თინათინ ჭიჭინაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ჯუმბერ პატიაშვილის ოჯახს.

სრულიად საქართველოს რაჭის რეგიონის განვითარების ფონდი და რაჭის გადარჩენისა და განვითარების კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცნობილი ბიზნესმენის და ქველმოქმედის

## თენგიზ გავაშელის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარის, შესანიშნავი მოღვაწის, დამაშვრალი ქალბატონის

## ლია ნადარეიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს შვილს მანანა გვასალიას, ახლობლებსა და მეგობრებს.

თენგიზ ქავთარაძე და ზაურ ფხალაძე სამძიმარს უცხადებენ დათო ქანთარიას დედის

## ლაურა ამბროსის ასული ცხადაია-ქანთარიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

## შვარცენეგერი აეროპორტში დააკავეს



**მსახიობი და კალიფორნიის ყოფილი გუბერნატორი არნოლდ შვარცენეგერი გერმანიაში, მიუნხენის აეროპორტის საბაჟოს თანამშრომლებმა დააკავეს..**

76 წლის შვარცენეგერი მიუნხენში, ლოს-ანჯელესიდან ჩაფრინდა, შემდეგ კი ავსტრიის ქალაქ კიცბიუელში მსოფლიო კლიმატურ სამიტზე აპირებდა გამგზავრებას.

**თუმცა საბაჟო კონტროლზე მსახიობის ჩანთაში ბრენდის Audemars Piguet საათი აღმოაჩინეს, რომელიც სპეციალურად შვარცენეგერისთვის იყო დამზადებული. მისი ღირებულება 20 ათასი ევროა. მსახიობი სამიტის დაწყებამდე საათის გაყიდვას გეგმავდა.**

მიუნხენის საბაჟო სამსახურის წარმომადგენელმა ტომას მაისტერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება, მსახიობს კი გადასახადის გადახდისგან თავის არიდება ედება ბრალად. მაისტერი განმარტავს, რომ საათი დეკლარირებული უნდა ყოფილიყო, რადგან ეს იმპორტის შემთხვევაა.




# ჩაყვინთავთ თბილისის გოგირდის წყალში და ყველანაირ ტკივილს მოიშორებთ...

**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით საქართველოში პოპულარული ინდური გამოცემის Deccan Herald ჟურნალისტმა კალპანა სანდერმა იმოგზაურა.** ჟურნალისტმა საქართველოს ტურისტული პოტენციალის, კულტურისა და კულინარიის შესახებ რამდენიმე სტატია მოამზადა.

**„ჩაყვინთეთ საქართველოს დედაქალაქის სპა კულტურაში და თქვენ ტკივილებს მოიშორებთ. ნარიყალას ქვეშ მდებარე აბანოთუბანში ჰაერი ლაყე კვერცხის სუნითაა გაჯერებული, ბევრმა არ იცის თბილისის გოგირდის წყლების არსებობის შესახებ, რომელიც მიწისქვეშ მოედინება. სწორედ თერმული წყაროების არსებობის მიზეზით დაარსდა თბილისი. გეოთერმული წყაროები საქართველოს დედაქალაქის კულტურისა და იდენტობის სანუკვარ ნაწილად იქცა. ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე თბილისის გოგირდის წყაროები ქალაქის კულტურაში, მუსიკასა და პოეზიაში აისახა“,** – წერს Deccan Herald -ის ჟურნალისტი. იგი დეტალურად აღწერს თბილისის ისტორიას, ქალაქის უძველესს უბნებს, აბანოებსა და თბილისის ბალნეოლოგიურ სპა კურორტს, რომელსაც ცნობილი ადამიანები, მათ შორის ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი სტუმრობდა.

# „ერთადერთი რაც მაქვს - ჩემი სახელია... ისიც წამართვეს!!!“

**დედოფალი ელისაბედ მეორე განცვიფრებული იყო პრინც ჰარის და მეგან მარკლის განცხადებით იმის შესახებ, რომ თითქოს მან მხარი დაუჭირა წყვილის გადაწყვეტილებას ქალიშვილისთვის მისი სახელი – ლილიბეტი დაერქვათ,** – ამის შესახებ Daily Mail-ი ბრიტანელი ჟურნალისტის რობერ ჰარდმანის წიგნზე „ჩარლზ მესამე. ახალი მეფე. ისტორია შიგნიდან“ დაყრდნობით წერს.

პრინც ჰარის და მეგან მარკლის ქალიშვილი 2021 წლის 4 ივნისს, აშშ-ში დაიბადა. 9 ივნისს წყვილის წარმომადგენელმა მედიას განუცხადა, რომ დედოფალმა მხარი დაუჭირა წყვილის იდეას, შვილთაშვილს მისი სახელი დაარქვან. მაშინვე სამეფო ოჯახის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სასექსის ჰერცოგსა და ჰერცოგინიას დედოფლისთვის ამ საკითხზე რჩევისთვის არ მიუმართავთ.



ჰარდმანი წიგნში ელისაბედ მეორის თანაშემწის სიტყვებს იშველიებს, რომელმაც თქვა, რომ დედოფალი სასექსების განცხადების შემდეგ ისეთი გაბრაზებული იყო, როგორც არასოდეს.

**„მე არც სასახლეები მაქვს, არც ნახატები. ერთადერთი რაც ჩემი მაქვს – ჩემი სახელია. ახლა ისიც წამართვეს“,** – ასეა აღწერილი წიგნში თანაშემწის მიერ გახმაურებული სიტყვები, რომელიც თითქოს დედოფალს ეკუთვნის. დედოფალ ელისაბედს ლილიბეტს ბავშვობაში ეძახდნენ, რადგან თავიდან მას საკუთარი სახელის სწორად წარმოთქმა უჭირდა. ამასთან, ამ სახელით მას მხოლოდ მისი მშობლები, და, მოგვიანებით კი მეუღლე და რამდენიმე ახლო მეგობარი მიმართავდნენ.

# „სიენენის“ ორი ვიდეორგოლი ქართული ღვინის შესახებ

**ამერიკულმა ტელეკომპანია „სიენენმა“ ქართული ღვინის შესახებ ორი ვიდეორგოლი მოამზადა.**

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ერთწუთიანი ვიდეორგოლები, რომლებშიც საუბარია ქართული ღვინის მრავალფეროვნებაზე, ისტორიასა და კულტურაზე, „სიენენის“ ეთერში 15 იანვრიდან 28 იანვრამდე პერიოდში განთავსდება. სააგენტოს ცნობით, ტელეკომპანიის მხრიდან ქართული ღვინით დაინტერესება ქართული ღვინის შესახებ მომზადებულმა ვიდეორგოლმა – „ღვინის სამშობლო წარმოგიდგენთ“ განაპირობა, რომელიც „სიენენის“ ეთერში გასული წლის 26 ნოემბრიდან ერთი თვის განმავლობაში იყო განთავსებული.

**„CNN-ის მხრიდან ქართული ღვინის ისტორიის და თანამედროვეობის მიმართ ინტერესის გამოხატვა უმნიშვნელოვანესია ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის“,** – აღნიშნულია ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციაში.




# პორნოგრაფიას კრძალავთ, მამათმავლობას – არა!

**პორნოგრაფია ძირს უთხრის სექსუალურ სიამოვნებას,** – ამის შესახებ რომის **პაპმა ფრანცისკემ** განაცხადა.



**„სექსუალური სიამოვნება ღვთის საჩუქარია, რომელსაც ძირს უთხრის პორნოგრაფია: ეს არის კმაყოფილება ურთიერთობის გარეშე, რომელსაც შეუძლია დამოკიდებულების წარმოქმნა“,** – ამბობს პაპი ფრანცისკე.

პონტიფიკოსის განცხადებით, კათოლიკეებმა თავი უნდა აარიდონ პორნოგრაფიას. ფრანცისკემ ასევე აღნიშნა, რომ ადამიანურ სიამოვნებებს შორის ყველაზე ძლიერი სექსუალური სიამოვნებაა, რომელიც ყველა გრძნობას მოიცავს.

# მილიონობით დოლარი ხელფასის სახით

**რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის უფროსმა ქალიშვილმა, მარია ვორონცოვამ, რომელიც „ახალი მედია კომპანიის“ (ნომეკო) თანამშრომელია, 2019 წლიდან 2022 წლამდე 944 მილიონი რუბლი (10,7 მილიონი დოლარი) გამოიმუშავა, ნათქვამია ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ალექსეი ნავალნის გუნდის მიერ 15 იანვარს გამოქვეყნებულ საგამოძიებო ანგარიშში.**

ნავალნის გუნდმა განაცხადა, რომ განათლებით ენდოკრინოლოგმა ვორონცოვამ, „ნომეკოში“ მუშაობა 2019 წელს დაიწყო, როგორც თანადამფუძნებელმა და დირექტორთა საბჭოს წევრმა. მედია-უწყებას ფული, ძირითადად, კომპანია „სოგაზთან“ თანამშრომლობით შესდის, რომელიც ნაწილობრივ ეკუთვნის პუტინის ახლო თანამოაზრეს და რუსეთის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს იური კოვალჩუკს.

2021 წელს რუსულენოვანი ქსელის „ნასტოიაშეე ვრემიას“ მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ აჩვენა, რომ „სოგაზი“ ფინანსურად უჭერდა მხარს პუტინის ახლო თანამოაზრეებს, მათ შორის, ფედერალური დაცვის სამსახურის ლიდერებს, პარლამენტის თავმჯდომარეს და რუსეთის სხვა მაღალჩინოსნებს. „ნომეკოში“ ხელფასისა და დივიდენდების გარდა, ვორონცოვა ასევე იღებს ყოველთვიურ ხელფასს 110,000 რუბლის ოდენობით ($1,250) მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სადაც ის გაფორმებულია, როგორც მედიცინის ფაკულტეტის თანამშრომელი.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 22 იანვარს

## უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.6741; ევრო - 2.8941;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3704;
100 რუბლი - 3.0076; თურქული ლირა - 0.0883;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5630;
1000 სომხური დრამი - 6.5676

## ამინდი 19 იანვრისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | -2, | დღე +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -7, | დღე +11 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +4, | დღე +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -4, | დღე +12 |
| თბილისი: | ღამე | +3, | დღე +10 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge